# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 20 ივნისი 2007 №139 (3062) ფასი 50 თეთრი







# სეზონის დიახურვა













ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა არველაძე და დიმიტრი რამიშვილი



სანდრო იაშვილი



გიორგი ჩიხრაძე და გოგი თოფაძე



ლევან ყენია

# სეზონის დიახურვა

**ცხოვრებას** მაშინაც მშვენიერებად აღიქვამ, როცა ადამიანთა თუნდაც პატარა ჯგუფი ტაშს გიკრავს და თვალებში შემოგცქერის, როცა ხვდები, რომ ხალხს უყვარხარ და ამაყი ხარ...

გუშინ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გალა-დაჯილდოების ცერემონიალი „დია 2007" გაიმართა. გამოვლინდა ათი ნომინაციის გამარჯვებული.

დაჯილდოების ფინალი კი შოთა არველაძის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარება იყო...

„თუ გახსოვთ, შარშან ამ დაჯილდოებაზე იმედი გამოვთქვი, რომ აქ გამარჯვებულად დავბრუნდებოდი და ეს შევასრულე. ისიც ვთქვი, ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველოში გამოჩნდებიან ახალი სახეები-მეთქი... მინდა, დიდი კარიერა ვუსურვო ლევან ყენიასა და სანდრო იაშვილს, მომავალი მათია" — გახარებული ლაპარაკობდა შოთა არველაძე, მერე კი სანდრო იაშვილს ჩვეული ხუმრობით უთხრა, ნაკრების 11-ნომრიანი მაისურა შენი უნდა გახდეს, ოღონდ, შეიძლება ცოტა პატარა მოგივიდესო...

...დაჯილდოებას მსახიობი ზურაბ ყიფშიძე და კომპანია GFF TRAVEL-ის ხელმძღვანელი სოფო თავართქილაძე უძღვებოდნენ, მუსიკალური გაფორმება გივი გაჩეჩილაძის ბიგ-ბენდისა იყო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის გარდა, მთელი ქართული საფეხბურთო ამქარი, შოუ-ბიზნესის და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები იქ იყვნენ — ახალკაცი კი შეუძლოდ ყოფილა და ამიტომ ვერ მოახერხა დაჯილდოებაზე მოსვლა.

საღამო გაალამაზა საქართველოს ნაკრების ჰიმნმა „ჩვენი ერთი გუნდი ვართ" და დათო ფორჩხიძის მიერ საგანგებოდ ამ დაჯილდოებისადმი მიძღვნილმა სიმღერამ. სცენაზე გამოვიდნენ ლიზა ბაგრატიონი, ნინო ქათამაძე და... სოფიკო ჭიაურელი, რომელმაც ცხონებული მეუღლის, კოტე მახარაძის დისიდენტური სიტყვები გაიხსენა, 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის ბედნიერი ფინალის დასრულების შემდეგ ლეგენდად რომ იქცა...

მაშ ასე, მივყვეთ ნომინაციების მიხედვით...

**საუკეთესო მეკარე — ზურაბ ქვაჩახია (ამერი)**

ნომინანტები: ქვაჩახია, გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი), სოსო გრიშიკაშვილი (დინამო)

ქვაჩახიამ მართლაც კარგი სეზონი ჩაატარა და შარშანდლის მსგავსად, წლეულსაც სათასო ფინალის ერთ-ერთი გმირი გახლდათ.

ქვაჩახიას პრიზი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ გადასცა.

**საუკეთესო მცველი — გიორგი ონიანი (ოლიმპი)**

ნომინანტები: ონიანი, გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), ნედ ზელიჩი (დინამო)

ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპის" მცველს მურთაზ ხურცილავამ ჩააბუტა პრიზი.

ონიანის თამაში კლაუს ტოპმიოლერმაც დააფასა და ლიტვა-საფრანგეთთან ევროშესარჩევი მატჩებისთვის საქართველოს ნაკრებშიც ჰყავდა გამოძახებული.

**საუკეთესო ნახევარმცველი — გრიგოლ დოლიძე (ამერი)**

ნომინანტები: დოლიძე, თორნიკე აფციაური (ოლიმპი), დავით დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია/დინამო)

„ფოლკსვაგენის" სუპერთასის მატჩის გადამწყვეტი გოლის ავტორმა გრიგოლ დოლიძემ რამდენიმე სხვა უმნიშვნელოვანესი ბურთიც შეაგდო.

„ამერის" ფლანგელ ნახევარმცველს პრიზი პოეტმა დავით მაღრაძემ გადასცა.

**საუკეთესო თავდამსხმელი — სანდრო იაშვილი (დინამო)**

ნომინანტები: იაშვილი, გოგი ფიფია (ზესტაფონი), დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი)

20 საჩემპიონატო გოლი — ეროვნული ჩემპიონატის მთავარმეგოლეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა გია ასანიძემ გადასცა ჯილდო.

„იაშკას" წლეულს მართლაც მძლავრი სეზონი ჰქონდა.

**საუკეთესო ახალბედა — ლევან ყენია (ლოკომოტივი)**

ნომინანტები: ყენია, მიხეილ ალავიძე (ოლიმპი), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი)

16 წლის ყენია „ლოკომოტივის" და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების სული და გული იყო. სულ რამდენიმე თვეში მან სამ ასაკობრივ ნაკრებში ითამაშა, მხოლოდ ეროვნული გუნდის კარი არ შეუღია...

„1969 წელს საქართველომ რუსეთს რომ მოუგო, დავით ყიფიანი საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და შეიდმანეთიანი მაღვიძარა აჩუქეს" — თქვა ლეგენდარული ყიფიანის ვაჟმა, ნიკა ყიფიანმა, მერე კი დაამატა, ტრადიციას არ დავარღვევო და, ყენიას საათი აჩუქა.

**საუკეთესო საფეხბურთო პროექტი — ნაკრების ჰიმნი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ".**

ნომინანტები: „ჩვენ ერთი გუნდი ვართ", სარეკლამო რგოლი „მოდი ფეხბურთზე", „წამახალისებელი ლატარია".

მართლაც დასამუხტი სიმღერა თავისი დასამუხტი კლიპით.

ამ პროექტის ავტორებს პრიზი ქალაქის მერმა გიგი უგულავამ გადასცა.

**საუკეთესო მსაჯი — ლევან ფანიაშვილი**



„ერთი გუნდი" და გიგი უგულავა



ლიზა ბაგრატიონი

ნომინანტები: ფანიაშვილი, გიორგი ვადაჭკორია, ლაშა სილაგავა

საქართველოში მსაჯობა ძნელი რამაა, უშეცდომო მსაჯი კი არსად დაბადებულა და რადგან ფანიაშვილმა გაიმარჯვა, გამოდის, ყველაზე ნაკლებად ცდებოდა...

მას პრიზი წარსულში ცნობილმა მეკარემ სერგო კოტრიკაძემ გადასცა.

**საუკეთესო მწვრთნელი — გიორგი ჩიხრაძე (ამერი)**

ნომინანტები: ჩიხრაძე, დუშან უჰრინი (დინამო), რევაზ ძოძუაშვილი (ტორპედო/ოლიმპი),

გიორგი ჩიხრაძის გაწვრთნილმა „ამერმა" ზედიზედ მეორედ ჩაიხუტა საქართველოს თასი და პირველად მოიგო სუპერთასი.

საერთოდაც, მე-18 ეროვნული ჩემპიონატის მესამეადგილოსანი „ამერი" სამაგალითოა თავისი სტაბილურობით, დალაგებულ-აზრიანი თამაშით, ეს კი, აბა, უმწვრთნელოდ როგორ?!

ჩიხრაძეს ჯილდო ბიზნესმენმა გოგი თოფაძემ გადასცა.

**საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი — სანდრო იაშვილი (დინამო)**

ნომინანტები: იაშვილი, გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), გიორგი ონიანი (ოლიმპი)

სულ რამდენიმე დღის წინ სანდრომ გაზეთ „სარბიელისგან" მიიღო ჩემპიონატის რჩეული ფეხბურთელის პრიზი, გუშინ კი პროფლიგამაც აღიარა საუკეთესოდ.

„იაშკამ" პრიზი სოფიკო ჭიაურელისგან მიიღო.

**საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი — შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია)**

ნომინანტები: არველაძე, კახა კალაძე (მილანი, იტალია), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია)

ეს მისი სეზონი იყო. შოთა გუშინ ძალიან ამაყი იყო — პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილისგან პრიზის მიღების შემდეგ მან მართლაც ლამაზი სიტყვები თქვა.

რაც მთავარია, ნაკრების ბომბდამშენმა და ასევე „სარბიელის" წლევანდელი გამოკითხვის გამარჯვებულმა თავისი საქმეც ლამაზად იცის, ამიტომაც უყვართ გულშემატკივრებს!

**ილია ნანობაშვილი**

*ბადრი ქეთილაძის ფოტოები*


ზურაბ ქვაჩახია და გოგი ქავთარაძე


გიორგი ონიანი


გრიგოლ დოლიძე და დავით მღრაძე


ლევან ფანიაშვილი და სერგო კოტრიკაძე

**გიორგი ჩიხრაძე:** ამ პრიზში ბევრი შრომაა ჩადებული. „ამერს“ ჰყავს კარგი პრეზიდენტი, კარგი ფეხბურთელები, კარგი გულშემატკივრები... მადლობა ყველა იმ ხალხს, ვინც მე მეხმარებოდა და მეხმარება, ვინც დღეს მაღიარა. ასევე ვულოცავ ყველა ნომინაციაში გამარჯვებულს.

— დღეს ყველაზე ბევრი პრიზი ამერელებმა მიიღეს...

— რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდი სწორ გზაზე დგას, მაგრამ ჩვენ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რათა სულ წინ ვიაროთ. მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, მანამდე კი უეფას თასზეც ღირსეულად უნდა ვითამაშოთ.

**გიორგი ონიანი:** უზომოდ გახარებული ვარ. არა მარტო ჩემი, მთლიანად „ოლიმპის“ დამსახურებაა, რომ ეს პრიზი მოვიპოვე.

— გაისად კი ამ პრიზს ვერანაირად ვერ მოიგებ — უცხოეთში მიდიხარ...

— იმედია, გაისად ეს პრიზი მართლაც სხვას დარჩება... ჯერჯერობით „ოლიმპში“ ვვარჯიშობ, თვის ბოლოს კი ნაღდად მეცოდინება ჩემი მომავალი კლუბი. რეალური გერმანული „კარლ ცაისია“, თუმც სხვა ვარიანტებიც მაქვს.

**გრიგოლ დოლიძე:** მართლაც კარგი გრძნობა ყოფილა, როცა საუკეთესოდ გასახელებენ. ამ აღიარებისთვის ყველას მადლობას ვუხდი და ჩემს ჯილდოს მთელ „ამერს“ ვულოცავ. ძლიერი კონკურენტები მყავდა თორნიკე აფციაურისა და დავით დიღმელაშვილის სახით, მაგრამ იმედი მაინც მქონდა, რომ გავიმარჯვებდი.

**სანდრო იაშვილი:** რამდენიმე დღის წინ „სარბიელის“ გამოკითხვაში ჟურნალისტებმა საუკეთესოდ დამასახელეს. დღეს ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმაც პირველობა მარგუნეს, ანუ სრულიად საქართველომ მაღიარა, რაც ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თუ დამიძახებენ, იმედს არ გაგიცრუებთ და ვეცდები, შოთა არველაძის ღირსეული შემცვლელი ვიყო.

**ზურაბ ქვაჩახია:** უზომოდ გახარებული ვარ. დღევანდელი დღე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესია. ფეხბურთელს შრომა და თავდადება რომ დაგიფასდება, ამას არაფერი სჯობს. ამ ჯილდოს მოპოვებაში „ამერმა“ უდიდესი წვლილი შეიტანა და მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა.

**ლევან ყენია:** ჩემთვის დიდი პატივია, საუკეთესო ახალბედა ფეხბურთელად რომ დამასახელეს. ყველას მადლიერი ვარ, ვინც გვერდით მიდგას და მაშხნევებს. მომავალ სეზონში ალბათ გერმანიაში ვიქნები და ვეცდები, საქართველო იქედან ვასახელო.

**შოთა არველაძე:** „დიას“ დაჯილდოვებამდე საუკეთესო ფეხბურთელი გაზეთ „სარბიელის“ გამოკითხვით გავხდი და ამის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ აქაც მე ვიქნებოდი პირველი. ეს სეზონი ჩემს კარიერაში თითქმის ბოლო იყო. ამიტომ ძალიან მინდოდა, საუკეთესოდ მეთამაშა და ვფიქრობ, ეს შევძელი კიდეც. „ალკმაარში“ ხელმოცარვით გულნატკენი ვიყავი და ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა ჩემს სამშობლოში აღიარება. აქ სხვანაირ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ — ქართველი გულშემატკივრის ტაში სულ სხვანაირია! მე დღეს ძალიან ამაყი ვარ და ყველას, სრულიად საქართველოს მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა!“

**ნუკრი ლოლაძე**
**ბაჩო სვანიძე**
***ბადრი კეთილაძის ფოტოები***


ნინო ქათამაძე


საღამოს წამყვანები:
სოფო თავართქილაძე და ზურაბ ყიფშიძე

# ბესიკ ჩიმაკაძე: დავბრუნდები და გოლებს ისევ გავიტან

ორიოდ კვირის წინ, როცა პროფესიული ფეხბურთის ლიგიდან „დიასთვის" ანკეტები გამოგვიგზავნეს, ნომინანტებად ზოგმა ვინ ჩაწერა, ზოგმა ვინ. „სეზონის აღმოჩენა" კი ის ნომინაცია იყო, აზრები რომ არ გაყოფილა — რა თქმა უნდა, ლევან ყენია და ბესიკ ჩიმაკაძე. ყენიაზე თვეების მანძილზე იმდენი რამ გვეწერა, მოსაყოლი ახალი არაფერია, ჩიმაკაძე კი ყენიასთან შედარებით გულშემატკივრისთვის უცნობი ფეხბურთელია. ის, რომ „ამერი" მეორედ გახდა საქართველოს თასის მფლობელი, ამ 18 წლის ფორვარდის დიდი დამსახურებაცაა. „დინამოსთან" მეოთხედფინალში სწორედ მან გაიტანა გამარჯვების გოლი. სხვათა შორის, ჩიმაკაძისთვის ეს კარიერაში პირველი სათასო მატჩი და, შესაბამისად, პირველი სათასო გოლი იყო. ხოლო ჩემპიონატში მას ბოლო წუთებზე უშვებდნენ შეცვლაზე და გოლებიც გაჰქონდა. საშუალო მაჩვენებელი რომ გამოვთვალოთ, ყოველ 60 წუთში თითო გოლი გამოუვა. მერე კი ჩიმაკაძეს კარგი სეზონი ცუდად დაუმთავრდა. ესპანელებთან სათამაშოდ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებულმა ვარჯიშზე მარჯვენა ფეხზე წვივის ძვალი მოიტეხა და ფეხბურთს რამდენიმე თვით ჩამოშორდა...



— ექიმებმა დღესაც გამსინჯეს და ნაკერები ამომიღეს, თაბაშირს კი ალბათ ორ თვეში მომხსნიან. ჯერჯერობით შეხორცება ნორმალურად მიდის და იმედი მაქვს, მკურნალობა არ გართულდება.

— ვარჯიშის დაწყება როდიდან შეგეძლება?

— ეს მკურნალობის პროცესზეა დამოკიდებული. წვივის ორივე ძვალია გატეხილი. სერიოზული ტრავმაა და ექიმები ზუსტად ვერ ამბობენ, ვარჯიშის განახლებას როდის შევძლებ. სავარაუდოდ, თაბაშირს რომ მოვიშორებ, მსუბუქ ვარჯიშსაც მაშინ დავიწყებ, მერე კი ყველაფერი სარეაბილიტაციო კურსზე იქნება დამოკიდებული.

— მომავალი ჩემპიონატის პირველი წრე გაგიცდება?

— ვფიქრობ სამი-ოთხი თვის შემდეგ დატვირთვებს აღარ მოვერიდები და იქნებ ფორმა სწრაფადვე აღვიდგინო. ვნახოთ, როცა სრულყოფილად მომზადებას შევუდგები, მერე მწვრთნელზე იქნება, როდის მათამაშებს.

— საავადმყოფოში ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა მოგინახულა. მას შემდეგ ის აღარ გამოჩენილა?

— რამდენჯერმე დამირეკა და მომიკითხა. დამირეკა გელა შეყილაძემაც. სასიამოვნოა, რომ ნაკრების მწვრთნელებისგან ასეთ ყურადღებას ვგრძნობ. ცხადია, ჩემი კლუბისაც მადლობელი ვარ, ყოველდღიურად კითხულობენ ჩემს ამბავს.

— „დიას" ნომინანტობასა და მეორე ადგილს ელოდი?

— როგორ გითხრათ, ასეთი ტრავმის შემდეგ ამაზე არც მიფიქრია, თუმცა ახლა გამიხარდა და სასიამოვნოა, რომ ამ სეზონში ჩემი თამაში ასე შეფასდა.

— საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ამის წინა სეზონშიც ხომ ითამაშე?

— კი, მაგრამ მაშინ სულ ორი თამაში ჩავატარე და არც გოლი გამიტანია. ამ სეზონში კი უფრო ხშირად ვთამაშობდი, მათ შორის, თასის ფინალში შეცვლაზეც შევედი. ასე რომ, ცხადია, ეს სეზონი ჩემთვის გამორჩეული და დასამახსოვრებელი იქნება.

— წლეულს გოლებიც გაიტანე-

— სამი გოლი გავიტანე და მათ შორის, ერთი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანიც. თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში „დინამოს" 2:1 მოვუგეთ და ის თამაში ბოლო წუთზე გატანილი ჩემი გოლით მოვიგეთ. მომავალ სეზონში კი უფრო მეტს ვეცდები და იმედი მაქვს, ქომაგებს კიდევ ბევრჯერ გავახარებ.

— „წლის აღმოჩენის" ნომინაციაში საუკეთესო ლევან ყენიაზე რას იტყვი?

— ძალიან კარგი ფეხბურთელია და დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. ვფიქრობ, მისით ტყუილად არ დაინტერესებულან ცნობილი ევროპული გუნდები. ვულოცავ და კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებ.

**კობა ინასარიძე**



# გიგიაძემ დარჩენა თქვა

**ძალიან** დიდი შანსი იყო, ლადო ბურდულს ლუგანსკის „ზარიაში" კრივოი როგის „კრივბასის" კაპიტანი ვასილ გიგიაძეც გადაჰყოლოდა, მაგრამ კრივოიროგელებმა თქვეს, ქართველი გვჭირდებაო და ლუგანსკელების შეთავაზებული თანხა იუარეს.

„კლუბის პრეზიდენტთან ვიყავი შესული და ამ თემაზე ვისაუბრეთ. პირდაპირ მითხრეს, რომ არ გამიშვებდნენ. ერთი სეზონი „კრივბასში" უნდა გავატარო" — გვითხრა გუშინ გიგიაძემ.

ჯერჯერობით გაურკვეველია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელის შოთა ბაბუნაშვილისა და „კრივბასის" ურთიერთობა.

ეს ამბავი, წესით, მალე უნდა გადაწყდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები სიმბოლურ უკრაინაში



**უკრაინის** ჩემპიონატი ახლახან დასრულდა და ჟურნალისტებმა უკვე დაიწყეს სიმბოლური ნაკრების თუ სხვადასხვა ნომინანტების დადგენა.

სამწუხაროდ, ათეულობით მოთამაშე ქართველიდან ნომინანტებს შორის მხოლოდ ორი ჩვენებურია — საყრდენი ნახევარმცველი ჯაბა კანკავა და თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე.

თავის პოზიციაზე კანკავა ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა.

რაც შეეხება გიგიაძეს, გუშინდელი მონაცემებით, თხუთმეტ ნომინანტ თავდამსხმელში ჩვენებური მეექვსე პოზიციაზე იყო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# გელაშვილი თბილისშია და ბელგიაში აქებენ

**„ვიტ ჯორჯიას"** ფორვარდი ნიკა გელაშვილი ჯერ თბილისშია და ორ დღეში ჩააკითხავს „ბრიუგეს", რომელსაც შეკრებაზე წაჰყვება და გუნდში ჩარიცხვა-არჩარიცხვის საკითხიც მაშინ გაირკვევა.

ცხადია, 21 წლის ქართველი ფორვარდი რამდენიმე ტესტ-მატჩშიც ითამაშებს.

ამასობაში ბელგიური „სპორტი" აქებს გელაშვილს — როგორც ვიცით, „ბრიუგეში" ნიჭიერი ქართველი ფორვარდი უნდა ჩამოვიდეს, იგი ძალიან ტექნიკურია და გოლის კარგი ალღო აქვსო.

გელაშვილის „ბრიუგეში" მოხვედრის შანსებს ისიც ზრდის, რომ ამ გუნდს, სავარაუდოდ, ორი წამყვანი თავდამსხმელი დატოვებს — ერთ-ერთი მათგანს წინასწარი კონტრაქტი უკვე გაუფორმებია გერმანულ „დუისბურგთან" და ტაციაობა ყოფილა ცნობილ ხორვატ ივან ბალაბანზეც.

**ილია ნანობაშვილი**

# რევიშვილმა დაიწყო, სალუქვაძე უქმობს

**გეხსომებათ,** ლიტვა-საფრანგეთთან ევროშესარჩევი მატჩები არასასიამოვნო გამოდგა საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის" ფეხბურთელებისთვის, ნუკრი რევიშვილისა და ლაშა სალუქვაძისთვის.

რევიშვილმა ტრავმა ლიტვასთან მატჩამდელ ვარჯიშზე მიიღო და ნაკრებს გამოაკლდა, ხოლო სალუქვაძე საფრანგეთთან თამაშს მე-12 წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

ჯერჯერობით ვარჯიში მხოლოდ რევიშვილმა დაიწყო და ისიც მსუბუქად.

„ორი დღეა, ვძუნძულებ. ექიმები მეტის ნებას არ მაძლევენ. სამ-ოთხ დღეში კი ალბათ სრული დატვირთვით ვარჯიშს დავიწყებ" — გვითხრა გუშინ რევიშვილმა.

სალუქვაძის ტრავმა კი უფრო სერიოზული გამოდგა და „რუბინის" ჩვენებური მცველი ჯერ ისევ უქმობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სევასტოპულო მერანში

**თბილისის** „მერანს" ახალი მთავარი მწვრთნელი თამაზ კოსტავა რომ ჰყავს, ადრეც გამცნეთ. რამდენიმე დღეა, მან გუნდი შეკრიბა და ორჯერად ვარჯიშებს ატარებს.

ამჟამად „მერანში" ბევრი ფეხბურთელი ვარჯიშობს და, როგორც მწვრთნელმა გვითხრა, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გადაწყდება წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა.

ჩვენ კი შევიტყვეთ, რომ მომავალ სეზონში „მერანში" ყოფილი ამერელი თავდამსხმელი დავით სევასტოპულო ითამაშებს. მას „ამერთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტია.

**ნუკრი ლოლაძე**

# ნუ ელით ახალ აბრამოვიჩს



მარკ ჰიუზის გუნდს ამერიკელი პატრონი ეყოლებაო

**ამერიკელმა** ბიზნესმენმა დანიელ უილიამსმა დაადასტურა, რომ „ბლექბერნ როვერსის" ყიდვას აპირებს და საამისოდ მოლაპარაკებებს აწარმოებს, თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია.

„ჩვენ მოლაპარაკებათა მეტისმეტად ადრეულ ეტაპზე ვართ — უთხრა უილიამსმა „ლანკაშირ ივნინგ ტელეგრაფის" ჟურნალისტებს — თანხა, რომელზეც ჩვენ მოვილაპარაკეთ, პირობითია და ნამდვილად არ იქნება ის, რომელიც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში ჩაიწერება".

30 წლის ბიზნესმენი მარტში გამოჩნდა და მას მერე ცდილობს, „ივუდ პარკის" წარმომადგენლებთან საერთო ენა გამონახოს.

„ბლექბერნელთა შეძენის ინტერესი მას მერე გამიჩნდა, რაც ერთმა ჩემმა ნაცნობმა დაიწყო პრემიერლიგაში ისეთი კლუბის ძებნა, რომელთანაც მოლაპარაკებების წამოწყება შესაძლებელი იქნებოდა. თავიდან ის აქტიურობდა, შემდეგ კი განზე გადგა და საქმეში მე ჩავერთე".

კონსორციუმი, რომელსაც უილიამსი ხელმძღვანელობს, ამერიკის ფინანსურ ინსტიტუტებს წარმოადგენს და ხელმოკლე ორგანიზაცია ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ თუ გარიგება შედგება და „ბლექბერნი" მისი საკუთრება გახდება, ახალი პატრონი დიდი ფულის ხარჯვას ნამდვილად არ დაიწყებს. ერთი სიტყვით, ახალ აბრამოვიჩს ნუ ელითო, ამთავითვე აფრთხილებს ამერიკელი ინგლისელებს.

**ბაბუნა ძიდია**

# მანიუმ კალიარელა აწია



**დიდი ხანია,** „მანჩესტერი" ფაბიო კალიარელას ეპატიჟება.

მოგეხსენებათ, ბრწყინვალე ფორმაში მყოფი 23 წლის თავდამსხმელი „სამპდორიასა" და „უდინეზეს" საკუთრებაა. ცოტა ხნის წინ ითქვა, „წითელი ეშმაკები" მზად არიან, მასში 15 მილიონი ევრო გადაიხადონო. თუმცა „სამპდორიას" გენერალური დირექტორი ბეპე მაროტა აცხადებს, კალიარელის ფასი 16-21 მილიონიაო. ახლა კი ოფიციალურად დადასტურდა, რომ „მანჩესტერმა" ახალი წინადადება გაამზადა და უფრო მეტს იხდის. ასე რომ, „ასკოლისა" და „ტორინოს" ექსფორვარდის „ოლდ ტრაფორდზე" გადაბარგების შანსი ერთი-ორად გაიზარდა.

„მართალია, რომ „მანჩესტერმა" ახალი წინადადებით მოგვმართა, რაც ბევრს ნიშნავს. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ პრემიერლიგაში ვითამაშებ, ეს ძლიერი და მიმზიდველი ჩემპიონატია. ერთი სიტყვით, თუ კლუბები ყველაფერს შეათანხმებენ, „ოლდ ტრაფორდზე" სიამოვნებით გადავალ" — განუცხადა კალიარელამ „გაძეტა დელო სპორტს".

ტრანსფერი კი იქამდე ნამდვილად არ შედგება, სანამ „სამპდორია" და „უდინეზე" კალიარელას სტატუსსა და მის მომავალზე არ მოილაპარაკებენ. მათ წარმომადგენლებს შორის შეხვედრა კვირის ბოლოს იგეგმება.

აღვნიშნოთ ისიც, რომ თავდამსხმელის მსურველებად „რომას", „ინტერს" და „იუვენტუსსაც" ასახელებენ.

**ქოქი ქანდელაკი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ნვანქვო კანუ

თავდამსხმელი



დაიბადა 1976 წლის 1 აგვისტოს ოვერიში

სიმაღლე: 1,97 მეტრი, წონა: 80 კგ

კარიერა: 1991-92 წლები — „ფედ ვორკსი" (30 მატჩი, 9 გოლი), 1992-93 წლები — „ივუანიანვუ" (30 მატჩი, 6 გოლი), 1993-96 წლები — „აიაქსი" (54 მატჩი, 25 გოლი), 1996-99 წლები — „ინტერი" (11 მატჩი, 1 გოლი), 1999-2004 წლები — „არსენალი" (119 მატჩი, 30 გოლი), 2004-06 წლები — „ვესტ ბრომვიჩი" (53 მატჩი, 7 გოლი), 2006 წლიდან — „პორტსმუთი" (38 მატჩი, 12 გოლი)

1994 წლიდან თამაშობს ნიგერიის ნაკრებში (66 მატჩი, 13 გოლი)



## FERRARI F360

გამოშვების თარიღი: 2004 წელი

სიგრძე: 4,477 მეტრი

სიგანე: 1,922 მეტრი

სიმაღლე: 1,235 მეტრი

წონა: 1 600 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 3,6

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 300 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 3,2 წამში

ფასი: 150 000 დოლარი





# გოოოოოლ!

**ბრაზილიაში** ქალმა რომ გაიხაროს, ალბათ ამით ვერავის გააკვირვებს, თუმცა იმ ფაქტმა, რომ 29 წლის არბიტრი ანა პაულა დე ოლივეირა „პლეიბოის" იქაური გამოცემისთვის სრულიად გაშიშვლდება, მაინც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

„არის! მსაჯმა ოლივეირამ ჩვენთან კონტრაქტს ხელი მოაწერა და მის მშვენიერ სხეულსაც ივლისში თავფურცელზე იხილავთ. გოოოლ!" — საინტერნეტო ვებგვერდის საშუალებით ჟურნალმა ასე აცნობა ხალხს სასიამოვნო ამბავი.

ანა პაულას თავისი მშვენიერება საჯაროდ ადრეც გამოუფენია მამაკაცურ ჟურნალებში, თუმცა მაშინ გვერდითი მსაჯი მთლად „გულახდილი" არ ყოფილა. რაღაც-რაღაცები მაინც ეცვა, ახლა კი...

2005-ში ოლივეირას ფოტოსესიებმა ბრაზილიის ფეხბურთის მამები განარისხა, თუმცა თავად მანდილოსანს ჯიბე ფრიად შეუვსო სარეკლამო შემოსავლის სახით. ეშხიანი ანა სპორტულ პროდუქციას უწევდა რეკლამას.

„პლეიბოის" მომავალი გმირი საკმაოდ სკანდალური არბიტრია. სწორედ ანა პაულამ გაუუქმა ბრაზილიის თასის ნახევარფინალში „ფიგეირენსესთან" გატანილი „ბოტაფოგოს" ორი ასპროცენტიანი გოლი, რაც კარიოკულ კლუბს ტურნირიდან გამოთიშვად დაუჯდა, ხოლო „ბოტაფოგოს" ვიცე-პრეზიდენტი კარლუშ აუგუსტო მონტენეგრო კინაღამ გაგიჟდა.

„ერთი მითხარით, ჩვენი ქვეყნის გარდა ქალები სად მსაჯობენ?! მათ ვერც მუნდიალზე ნახავთ, ვერც კოპა ლიბერტადორესზე და ვერც იტალიის, გერმანიის, ინგლისისა თუ სხვა რომელიმე ევროპული ქვეყნის ჩემპიონატებში. დედაკაცები საქმეს მოედანზე მარტო ბრაზილიაში აფუჭებენ" — გაჰყვიროდა დაზარალებული გუნდის განრისხებული თავკაცი.

ანა პაულამ ერთხელ „სანტოსსაც" დაუმალა გოლი „სან პაულუსთან"...

სხვათა შორის, იგი ყოფილი მსაჯის ქალიშვილია და ერთი სანუკვარი ოცნება აქვს — როგორც არბიტრი, უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდეს...

**ლადო ხომერიკი**

# პირველი ქალბატონი პროფესიონალ კაცებში



AFP

**28 წლის** პოლიციელი გოგო ბიბიანა შტაინჰაუსი მეორე ბუნდესლიგის მატჩებს განსჯის. იგი პირველი ქალია, რომელსაც პროფესიონალთა მატჩებს ანდობენ.

შტაინჰაუსმა რამდენიმე წელი იმუშავა რეგიონალლიგებში და გერმანიის ფეხბურთის კავშირის აზრით, მაღალ დონეზე მსაჯობა შეუძლია.

ბიბიანა 16 წლამდე ფეხბურთს თამაშობდა და მერელა შეუდგა მსაჯობას.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ეჭვმიტანილები

**პრემიერლიგის** რამდენიმე კლუბი სატრანსფერო მაქინაციაშია ეჭვმიტანილი. ინგლისური მედიის ცნობით, 15 საფეხბურთო აგენტი და ორი მწვრთნელი (გრემ სუნესი და სემ ალარდაისი) შეკრულები ყოფილან. ეს მწვრთნელები მხოლოდ ამ აგენტების ფეხბურთელებს ყიდულობდნენ გამორჩენის მიზნით.

საეჭვო ტრანსფერებში მოხვდნენ: „ბოლტონიდან" — ალი ალ ჰაბსი (შეიძინეს „ლინიდან"), ტალ ბენ ჰაიმი („მაკაბი"), ბლესინგ კაკუ („აშდოდი"), ხულიო კორეა („ვალიადოლიდი"). „ჩელსიდან" — დიდიე დროგბა („მარსელი"), პეტრ ჩეხი („რენი"), მიკაელ ესიენი („ლიონი"). „მიდლსბროდან" — ფაბიო როშემბაკი („სპორტინგი"), იაკუბუ აიეგბენი („პორტსმუთი"). „ნიუკასლიდან" — ჟან ალენ ბუმსონგი („რეინჯერსი"), ემრე („ინტერი"), ამადი ფაიე („პორტსმუთი"), ალბერტ ლუკე („დეპორტივო").

აგენტთა შორისაა მსოფლიოში უცნობილესი პინი ზაჰავი, რომელიც „ჩელსისთან" თანამშრომლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერ-მილანის ახალი, ჰონდურასული დერბი




„**მილანმა**“ თავის მოსისხლე მტერ „ინტერს“ კიდევ ერთი „დერბი“ მოუგო. „როსონერიმ“ „ნეროაძურის“ ცხვირწინ ააცალა 27 წლის დავიდ სუაზო. ჰონდურასელმა „კალიარიში“ 8 წელი გაატარა და ბოლო წლებში თავის პოზიციაზე სერია A-ში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

სუაზოს „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იუვენტუსი“ და სხვა კლუბებიც ეპატიჟებოდნენ. „მილანი“ კი მისით შარშან ზაფხულსაც იყო დაინტერესებული, თუმცა ბოლო პერიოდში ყველაზე მეტად „ინტერი“ აქტიურობდა და თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ის, რაც „ნეროაძურიმ“ რამდენიმე კვირაში ვერ შეძლო, „როსონერიმ“ ერთ ღამეში გაჩარხა.

„ჰონდურასელი თავდამსხმელი დავიდ სუაზო მომავალი სეზონიდან „მილანში“ ითამაშებს. მისი ტრანსფერს შესახებ „კალიარისთან“ ორშაბათს ღამე მოვილაპარაკეთ“ — ნათქვამია „როსონერის“ ოფიციალურ განცხადებაში.

„კალიარის“ პრეზიდენტი მასიმო ჩელინო: „მილანთან“ მართლაც მივაღწიეთ შეთანხმებას. რას იტყვის „ინტერი“ და მისი პრეზიდენტი მასიმო მორატი? მასთან დაკავშირებას ხუთშაბათის მერე ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა“.

გავრცელებული ცნობით, „კალიარი“ 15 მილიონ ევროს მიიღებს. „მილანში“ სუაზოს ხელფასი კი სეზონში 3,7 მილიონი იქნება. სხვა დეტალები უცნობია და ტრანსფერი ჯერ ოფიციალურად არ გაფორმებულა.

„სამუელ ეტოო მართლაც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახლდათ, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება ძნელი საქმეა. ეს ალბათ აღარც მოხდება, თუ სუაზოს ტრანსფერს ბოლომდე მივიყვანთ და ამას თითქმის არც არაფერი უკლია. ამით ჩვენი ტრანსფერები დასრულდება. დააკმაყოფილებთ თუ არა ეს ქომაგებს? ისინი ჩვენი ბოლოდროინდელი წარმატებებით უნდა იყვნენ კმაყოფილნი და იმითაც, რომ სხვადასხვა რეიტინგების სათავეში ვართ. რაც შეეხება სუაზოს „ინტერისთვის“ წართმევას, ეს ასე არ არის. ჩვენ მას შარშან ზაფხულსაც ველაპარაკებოდით. თან „კალიარის“ პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ მითხრა, „ნეროაძურისთან“ მოლაპარაკება შეფერხდაო და ჩვენც საქმეში ჩავერთეთ. დავურეკეთ თუ არა „ინტერს“? არც მათ დაურეკავთ ჩემთვის შარშან, როცა ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყიდეს, რომლითაც ჯერ ჩვენ დავინტერესდით და „იუვენტუსთან“ მოლაპარაკებაც დავიწყეთ... ახლა ტრანსფერის ოფიციალურად გასაფორმებლად სუაზოს ველოდებით, რომელიც ამჟამად ისვენებს. ჩვენ უკვე გვყავს ოთხი ჩინებული თავდამსხმელი და თუ იგი ასეთი კონკურენციისთვის მზად არის, პრობლემაც არ იქნება. პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის ვუთხარი ამ ტრანსფერის შესახებ და იგი კმაყოფილი დარჩა“ — აღნიშნა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# იაკინტა დაბერდა

## იუვენტუსი ალმირონის და მილიტოს ელის



**ტურინის** „იუვენტუსსა“ და „უდინეზეს“ შორის გაჯანჯლებულ მოლაპარაკებებს, ბოლოს და ბოლოს, წერტილი დაესვა — ვინჩენცო იაკინტა ოფიციალურად გახდა „იუვეს“ ფეხბურთელი.

27 წლის თავდამსხმელმა „ბიანკონერისთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. უდინელები კი მასში 12 მილიონ ევროს მიიღებენ.

„მჯერა, სწორედ იმ ასაკში ვარ, როცა ასეთ გრანდში კარგად თამაშს შევძლებ. ჩემი ოცნების ახდენის დროც მოვიდა. მიყვარს ზეწოლა, ვიცი, მას როგორ გავუძლო და ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება მომავალი სეზონი. ჩემს თამაშს ყოველწლიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ვხვეწდი და „უდინეზეში“ გატარებული 7 წლის შემდეგ დროა, უფრო მაღალი დონის გუნდში გავაგრძელო კარიერა. ახლა ჩემი შესაძლებლობები და თავი უნდა გამოვცადო, ამისთვის კი იტალიაში და მთლიანად ევროპაში „იუვენტუსის“ დარ ბრწყინვალე კლუბს ძნელად თუ იპოვი“ — განაცხადა იაკინტამ.

„ბებერი ქალბატონის“ გენერალური დირექტორი ჟან-კლოდ ბლანი: „იგი ძლიერი ფეხბურთელია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და დღევანდელი „იუვენტუსის“ ისტორიის დაწერაში დაგვეხმარება. იაკინტა ნამდვილი პროფესიონალია, რომლის მოსვლაც ძალიან გვიხარია. ვინჩენცოს გამოცდილება და კლასი გუნდს უდავოდ გააძლიერებს. რა თქმა უნდა, იაკინტას ყიდვა ჩვენი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. მაქსიმალურად ვეცდებით, მომავალ სეზონში კონკურენტუნარიანი გუნდი გვყავდეს და ფანები გავახაროთ“.

იაკინტას „უდინეზეს“ გარდა, „პადოვასა“ და „კასტელ დი სანგროში“ უთამაშია.

„იუვენტუსი“ კი მალე ალბათ ემპოლელი სერხიო ალმირონისა და სარაგოსელი გაბრიელ მილიტოს ტრანსფერებსაც საბოლოოდ მოაგვარებს.

**გიორგი ძაძამიძე**

## დონი სტეფანოს გზაზე

„**ატალანტას**“ ნახევარმცველი კრისტიანო დონი ევებ ყოფილი მწვრთნელის, სტეფანო კოლანტუონოს გზას დაადგეს, რომელიც ბერგამოული კლუბიდან „პალერმოში“ გადავიდა.

„დონის „პალერმოში“ გადასვლას სთავაზობენ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა პაოლო კონტიმ — კოლანტუონომ კი ამ ტრანსფერში შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს“.

## დი კოსტანცო მესინაში

**სერია B-ში** ჩაქვეითებული „მესინას“ მწვრთნელად ნელო დი კოსტანცო დანიშნეს. მან ბრუნო ბოლკი შეცვალა. სულ კი „მესინამ“ ბოლო ექვს თვეში სამი თავკაცი გამოიცვალა. ბოლკიმდე გუნდში ბრუნო ჯორდანო და ალბერტო კავაზინი მუშაობდნენ.

დი კოსტანცო „მესინაში“ „ვენეციადან“ მივიდა.

## მესტოს ლაციო უხარია

„**რეჯინას**“ ნახევარმცველი ჯანდომენიკო მესტო გახარებულია იმით, რომ „ლაციოში“ გადასვლის ვარიანტი გამოუჩნდა.

„ნებისმიერ ფეხბურთელს ესიამოვნება, თუ „ლაციოს“ დარი გუნდი შესთავაზებს გადასვლას. ჯერჯერობით მხოლოდ ეს ვიცი, რომ რომაული კლუბი ჩემით დაინტერესებულია და მოლაპარაკება არ დაწყებულა“ — თქვა მესტომ.

## ცოლს ჰკითხეთ

„**ჩელსის**“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ კითხვაზე, დაბრუნდება თუ არა „მილანში“ ანდრეი შევჩენკო, უპასუხა: „ამის თაობაზე შევჩენკოს ცოლს უნდა ჰკითხოთ. ჩემ სახლში მე ვარ უფროსი, უკრაინელი ფეხბურთელის ოჯახში კი სხვანაირადაა საქმე. როცა მისი ცოლი ხმას უწევს, „შევა“ საწოლის ქვეშ იმალება“.

## სერი მარუანს ნახავს

„**მანჩესტერი**“ მარუან ფელაინით დაინტერესდა. ლიეჟის „სტანდარდისა“ და ბელგიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი დღეს ჰოლანდიასთან ითამაშებს, მის სანახავად კი ალექს ფერგიუსონი ჩავა.

მანჩესტერელები იუვენტუსელ მიკელე პაოლუჩისაც აკვირდებიან. 21 წლის ფორვარდი გასულ სეზონში „ასკოლიში“ იყო განათხოვრებული.

## ოლივეირას რიგი დაუდგა

**დონეცკის** „შახტარს“ რიკარდო ოლივეირას შეძენა უნდა — წერს „გაძეტა დელო სპორტი“.

„მილანის“ ბრაზილიელი ფორვარდით „ვილიარეალი“, „ესპანიოლი“, „ატლეტიკო“, „მარსელი“, „ვოლფსბურგი“ და „შტუტგარტი“ არიან დაინტერესებულნი.

„ვილიარეალის“ გენერალური დირექტორი უკვე ესაუბრა „მილანის“ შეფებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მორიგდნენ.

## კორადის სამშობლო მოენატრა

„**მანჩესტერ სიტის**“ ფორვარდი ბერნარდო კორადი ერთ-ერთ იტალიურ კლუბში გადავა.

„90 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ კორადი სამშობლოში დაბრუნდება — თქვა ფეხბურთელის აგენტმა — მას „ტორინო“, „პარმა“ და „სამპდორია“ ეპატიჟებიან. ყოფილ კლუბ „ლაციოში“ გადასვლასაც არ გამოვრიცხავ“.

## ფედოტოვი მოხსნეს

**მოსკოვის** „სპარტაკის“ მწვრთნელი ვლადიმირ ფედოტოვი გუშინ მოხსნეს. მას „მოსკვასთან“ 0:2 მარცხი არ აპატიეს.

„სპარტაკს“ უკვე 5 ტურია, არ მოუგია და ამჟამად მე-4 ადგილზეა. რუსული მედიის ვარაუდით, ფედოტოვის ადგილს კლუბის სპორტული დირექტორი სტანისლავ ჩერჩესოვი დაიკავებს.

## დონატი სქოთებს ნახავს

„**მილანის**“ ნახევარმცველი მასიმო დონატი ამ კვირაში „სელტიკის“ შეფებს შეხვდება გლაზგოურ კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით. 26 წლის დონატი გასულ სეზონში „ატალანტაში“ იყო განათხოვრებული და ისე კარგად ითამაშა, რომ მისით არაერთი დიდი ევროპული გუნდი დაინტერესდა. მისი შეძენა „პალერმოსაც“ უნდა.

## ბაცანი ბრეშაში

„**სამპდორიაში**“ გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ ფაბიო ბაცანის კონტრაქტი დაუსრულდა და თავისუფალი აგენტის სტატუსით სერია B-ს „ბრეშაში“ გადავიდა.

30 წლის თავდამსხმელმა ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა გუნდთან, რომელსაც სერსე კოზმი წვრთნის.

## გროსოს პრობლემა

„**ინტერის**“ მცველს, მსოფლიოს ჩემპიონ ფაბიო გროსოს გუნდში დარჩენა სურს, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელ რობერტო მანჩინისთან ურთიერთობა წაუხდა.

გროსოს „რომა“ ეპატიჟება, მაგრამ კლუბის გამოცვლას უარობს. მისი აგენტი სილვიო პალიარი კი ამტკიცებს, რომ ფეხბურთელს მწვრთნელთან პრობლემა არ აქვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ოქროს ვარსკვლავი

## 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი, იტალიელი პაოლო როსი

# ზეციური ჩემპიონი



**— პირდაპირ მსოფლიოს ჩემპიონატით დავიწყოთ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს შეჯიბრება?**

— მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთელისთვის მწვერვალია. პირადად მე პოპულარული და წარმატებული სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატმა გამხადა, თან პირველივე ჩემპიონატმა, რომელშიც მონაწილეობა მივიღე — 1978 წელს. მაშინ 22 წლისა ვიყავი და ასეთ ასაკში მუნდიალზე გამოსვლა უკვე წარმატება იყო. მართალია, მაშინ იტალია ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ ჩემი თამაში ყურადღების ცენტრში მოექცა. ჩემი დიდი კარიერაც სწორედ მაშინ დაიწყო, ოთხი წლის შემდეგ კი გაგვიმართლა და ტიტულიც მოვიპოვეთ. ერთი სიტყვით, ჩემთვის მსოფლიოს პირველობა პროფესიონალი ფეხბურთელის უმაღლესი გამოცდა და მიზანიცაა.

**— 1986 წლის ჩემპიონატზეც ხომ იყავით?**

— დიახ, სულ სამ ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ 86-ში მოედანზე არ გავსულვარ. და რა იყო საინტერესო, იცით? ის, რომ სამივე მუნდიალი, რომელშიც ვითამაშე, ესპანურენოვან ქვეყნებში გაიმართა. თავიდან არგენტინაში, შემდეგ ესპანეთში, ბოლოს მექსიკაში.

**— მაშ, მსოფლიოს ჩემპიონატი მოტივაციის დიდი წყაროა, არა?**

— წარმოიდგინეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე 40-50 დღის განმავლობაში, როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად, მაქსიმალურად უნდა იყო მობილიზებული და საუკეთესო ფორმაში უნდა გრძნობდე თავს. მერედა, ამ ერთ ფეხბურთელზეც ხომ არ არის. ფეხბურთი გუნდური სახეობაა და წარმატებისთვის საჭიროა, მთელი ამ ხნის მანძილზე გუნდის წევრები ერთსულოვანნი იყვნენ. სწორედ ამიტომ არის მსოფლიოს ჩემპიონობა ძნელი. საკმარისია, ორი ფეხბურთელი ფორმიდან ამოვარდეს, მთელ გუნდს გეგმები ერევა. მოკლედ, ფეხბურთელი სულ მწვერვალზე უნდა იყოს. ყოველი თამაში მაქსიმალური მღელვარება და სტრესია, მაგრამ იმავდროულად ისტორიაც არის. მსოფლიოს ჩემპიონატი ნამდვილად ფანტასტიკური მოვლენაა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ყველა მონაწილე თავისებურად ემზადება. თქვენ როგორ იყავით, როდესაც მუნდიალი ახლოვდებოდა მხოლოდ მასზე ფიქრობდით?**

— რასაკვირველია, ნებისმიერი ფეხბურთელი თვითონ იწყებს ჩემპიონატისთვის მზადებას. როგორც მოგახსენეთ, მუნდიალი იმხელა მოვლენაა, რომ მისთვის მზადება საკუთრივ თამაშების დაწყებამდე გაცილებით ადრე უნდა დაიწყო, უპირველეს ყოვლისა, მასზე ფიქრით. აქ გასაკვირი არაფერია. ყველამ იცის, რომ პლანეტარული მასშტაბის მოვლენაში იღებს მონაწილეობას და მის თითოეულ ნაბიჯს მთელი მსოფლიო შეაფასებს. დიახ, თითოეულ მონაწილეს უნდა, რომ მაქსიმალურად კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს. ვფიქრობ, ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებს ვერაფერი შეედრება, თუმცა ამ ორიდან ფეხბურთს უფრო მეტი მაყურებელი უნდა ჰყავდეს. 40 დღის განმავლობაში მთელი მსოფლიო ჩერდება და ტელევიზორს ეჯაჭვება.

**— იმ სამი მუნდიალის განმავლობაში, თქვენ რომ მონაწილეობდით, ფეხბურთი განვითარდა? თქვენ თუ შეატყვეთ რაიმე ცვლილება?**

— პირველ და მეორე ჩემპიონატებს შორის ნამდვილად მნიშვნელოვანი სხვაობა იყო, ოღონდ საკუთრივ ფეხბურთს კი არა, ზოგადად, ორგანიზაციას ვგულისხმობ. რაც შეეხება თამაშს, როდესაც 1978 წელს ვიხსენებ, ვხედავ, რომ ბევრი რამ შეიცვალა. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, ფეხბურთი გაუმჯობესდა.

**— 1978 წელს თქვენ სამი გოლი გაიტანეთ და ორი საგოლე პასი გააკეთეთ...**

— დიახ, არგენტინაში სამი გოლი გავიტანე, პირველი საფრანგეთის ნაკრების კარში. ეს ჩვენი პირველი შეხვედრა გახლდათ. იმ დღეს თუ მათამაშებდნენ, არც კი მეგონა. ენცო ბეარზოტმა შემადგენლობაში ბოლოწამს დამასახელა, ალბათ იმიტომ, რომ ჩემს კარგ ფორმაში იყო დარწმუნებული. იმ შეხვედრაში მონაწილეობა ნამდვილი საოცრება იყო. საერთოდ, 1978 წლის მუნდიალზე, ალბათ, უფრო მეტი შეგვეძლო, ფინალში მაინც უნდა გავსულიყავით, მაგრამ ნახევარფინალში ჰოლანდიელებთან სრულიად გიჟური შეხვედრა წავაგეთ. ასე იყო თუ ისე, იმ წლის იტალიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდი იყო.

**— მოკლედ, სახელი არგენტინაში გაითქვით...**

— დიახ, სცენაზე სწორედ მაშინ შემოვვარდი.

**— მეტსახელად პაბლიტოც მაშინ შეგარქვეს...**

— დიახ, პაბლიტო „ილ გაძეტინოს" ჟურნალისტმა ჯორჯო რაგომ შემარქვა. ეს ადამიანი, სამწუხაროდ, ჩვენს შორის აღარ არის. მისი შერქმეული მეტსახელი შემრჩა და მინდა გითხრათ, ძალიან მომწონს. დღესაც კი, ქუჩაში, უცნობი ადამიანები ხანდახან პაბლიტოს მეძახიან.

**— 1978 წელს „ვერცხლის ბუცი" მოიგეთ. რა იფიქრეთ მაშინ, ეს თქვენი კარიერის მწვერვალი გეგონათ თუ გრძნობდით, რომ მეტიც შეგეძლოთ?**

— ვგრძნობდი, რომ უკეთესი ამბები წინ მელოდა. 78-ის ჩემპიონატი რომ დამთავრდა, კმაყოფილი ნამდვილად ვიყავი, მაგრამ სრულ კმაყოფილებამდე მაინც ბევრი მაკლდა. ბუნებრივია, ყველა ფეხბურთელს ხომ რომელიმე მნიშვნელოვანი ტიტულის მოპოვება სურს, ჩვენ კი იტალიაში ხელცარიელნი დავბრუნდით. მაშინ, არგენტინაში, ჩვენ 1982 წლის წარმატების საფუძველი ჩავყარეთ. ოთხი წლის შემდეგ, ესპანეთში, 78-ის ვეტერანთა მთელი ჯგუფი კვლავ ჩვენთან იყო: ძოფი, ტარდელი, ჯენტილე, შირეა, კაბრინი. მათ გარდა გვყავდა ახალ, ნიჭიერ ფეხბურთელთა მთელი არმია: ალტობელი, გრაციანი და კიდევ სამი თუ ოთხი კაცი, თუმცა გუნდის ხერხემალი მაინც იგივე იყო, რაც ოთხი წლის წინ.

**— მოდით, საფრანგეთის ნაკრების კარში გატანილი გოლი გავიხსენოთ. მაშინ ბურთი ძელიდან მოგივიდათ. ალბათ, ეს არის ჩინებული მაგალითი თქვენი იღბლიანობისა და საგოლე ალღოსი...**

— რასაკვირველია. საფრანგეთის ნაკრების კარში 1978 წელს გატანილი გოლი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ მე ნახევარშანსების გამოყენებაც შემეძლო. წინათგრძნობა ყოველთვის ზუსტად მკარნახობდა, საით წავიდოდა ბურთი ერთი წამის შემდეგ. ფიზიკურად ღონიერ მცველებს ვერ შევებრძოლებოდი და იძულებული გახლდით, სისწრაფესა და გოლის ალღოს დავყრდნობოდი. გოლის წინათგრძნობა ისეთი რამ არის, ის ან დაბადებიდან გაქვს ან არ გაქვს. მას ვერ გამოიმუშავებ.

**— 1978 და 1982 წლებს შორის კი მძიმე პერიოდი გერგოთ. რამდენადაც ცნობილია, თქვენი რწმენა ენცო ბეარზოტმა შეინარჩუნა და ის, რაც ესპანეთის სტადიონებზე შეძელით, მისი დამსახურებაა...**

— ბეარზოტის როლი გადამწყვეტი გახლდათ. ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენი დღევანდელი ინტერვიუ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისა და ჩემი ბომბარდირობის შესახებ, ალბათ არ შედგებოდა. ბეარზოტს ჩემი სწამდა, ის დარწმუნებული იყო, რომ მე საჭირო დროს საჭირო საქმეს გავაკეთებდი. ორწლიანი უმოქმედობის შემდეგ (როსი ციხეში იჯდა) ბურთი რომ გავაგორე, მეტისმეტად გამიჭირდა. კიდევ კარგი, ბეარზოტის მხარდაჭერას ვგრძნობდი, თუმცა თანაგუნდელების მხარდაჭერაც ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ.



**— თან, პირველ ოთხ შეხვედრაში ერთი გოლიც ვერ გაიტანეთ...**

— დიახ, ამ დროს უფრო მეტად ვიგრძენი მათი თანადგომა. გოლები ვერ გამქონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მწვრთნელი და თანაგუნდელები მენდობოდნენ. აბა, წარმოიდგინეთ გარემო, სადაც ფეხბურთელი გრძნობს, რომ მწვრთნელსა და თანაგუნდელებს მისი არ სწამთ. განა ასეთ გარემოში ადამიანი შეძლებს წარმატების მიღწევას?

**— პრესა გაკრიტიკებდათ?**

— პრესა? არა; მაინც და მაინც არ გავუკრიტიკებივარ. პრესასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, თუმცა ისიც უნდა დავძინო, რომ ამაზე საგანგებოდ არასდროს მიზრუნია. მე ყოველთვის ჩემს საქმეზე ვიყავი კონცენტრირებული, ხოლო გაზეთებში რას დაწერდნენ, სულ ერთი იყო. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ თუ ცუდად თამაშობ, რომ გაგაკრიტიკებენ, არ უნდა გაგიკვირდეს. მერედა, პრესის ყურადღება და კრიტიკა სპორტსმენის ცხოვრების ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია. მეორე მხრივ, თუ უსამართლოდ გაკრიტიკებენ, ძნელია, წახალისდე და უკეთესად თამაშისთვის განეწყო, თუმცა არის ის შემთხვევებიც, როდესაც პრესის მკაცრი დამოკიდებულება პირიქით, კარგ შედეგებს იძლევა.

**— მოკლედ, ოთხ თამაშში ერთიც ვერ გაიტანეთ და უცებ, ბრაზილიას ერთბაშად სამი შეუგდეთ. რა შეიცვალა იმ შეხვედრაში წინა შეხვედრებთან შედარებით? გახსოვთ ის გოლები?**

— ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერაში არის მომენტები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. ერთ-ერთი ასეთ მომენტთაგანი იყო ბრაზილიასთან შეხვედრაც. სამი გოლიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი გახლდათ, რომელმაც საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა. იმ წამიდან მოყოლებული ყველაფერი ისე წავიდა, თითქოს ვიღაც ზეციდან მეხმარებოდა.

**— მარადონა იტყოდა, ღმერთის ხელიაო...**

— დიახ, მარადონას ღმერთის ხელი ჰქონდა, მე ვიღაც ზეციდან მეხმარებოდა. იცით, ჩემს გარშემო უეცრად ყველაფერი შეიცვალა. თავიდან ყველაფერი ცუდად მიდიოდა, მაგრამ ერთი ხელის დაკვრით სამყარო სხვანაირი გახდა. ყველაფერი ადვილი შეიქნა და ამან მთელი ცხოვრება შეცვალა.

**— კერძოდ, როგორ [illegible]ას? საკუთარი თავის რწმენით?**

— დიახ. მანამდე დიდი ზეწოლის ქვეშ გახლდით, რადგან ჩემგან ყველა რაღაც განსაკუთრებულს ელოდა, ხოლო როდესაც ხალხს ვერ აძლევ იმას, რასაც ელის, იბორკები. ასეთ დროს თავდამსხმელისთვის ერთი გოლი ზეციური საჩუქარივით არის, ის მთელ ცხოვრებას სხვანაირს ხდის.

**— მას მერე ამდენი დრო გავიდა და ერთადერთ ფეხბურთელად, რომელმაც ბრაზილიას ერთ შეხვედრაში სამი გოლი გაუტანა, ისევ თქვენ რჩებით...**

— დიახ, ამის შესახებ სადღაც წავიკითხე, მაგრამ სტატისტიკის დიდი მოყვარული არ გახლავართ. ჩემთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ იტალიის ნაკრებმა იმ წელიწადს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

**— საინტერესოა, ბრაზილიასთან თამაშის შემდეგ თქვენდამი თანაგუნდელების დამოკიდებულება თუ შეიცვალა...**

— არა. მათ მითხრეს: „როგორც იქნა, გოლი გაიტანე. სწორედ რომ კარგი დრო იყო". 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო ბოლო, რომელიც დიდ ფეხბურთელთა და იმავდროულად მეგობართა ჯგუფმა ჩაატარა. დიახ, ჩვენ ერთმანეთის ნამდვილი მეგობრები ვიყავით. ერთმანეთს ყოველმხრივ ვუდექით მხარში და ეს მწვრთნელის დამსახურება იყო. ამ დიდებული კოლექტივის წევრობა დიდი გამართლება გახლდათ.

**— რა უფრო ნათლად ჩაგრჩათ მეხსიერებაში, გოლები თუ საფინალო სასტვენი?**

— იმ თამაშს რომ ვიხსენებ, ყველაზე მეტად, უპირველეს ყოვლისა, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ იტალიის დროშებით გადაფარული ტრიბუნები მაგონდება. რასაკვირველია, მეხსიერებას შემორჩა გოლები, სხვა ეპიზოდები, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იმ დროშებმა მოახდინეს: თავი ავწიე და დროშების ზღვა დავინახე. ნაციონალისტი არ გახლავართ, მაგრამ ასეთ მომენტებში კაცი ირწმუნებ, რომ მართლა განსაკუთრებული ერთობის წევრი ხარ.

**— ბეარზოტი ფინალის შედეგს წინასწარმეტყველებდა?**

— არა მგონია. მწვრთნელმა, შესაძლოა, გეგმები დასახოს, მაგრამ თამაში დაიწყოს და მოედანზე ყველაფერი სხვანაირად მოხდეს. ბრაზილიასთან გამარჯვება იმითაც გახლდათ მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი გუნდის გარშემო თავისებური აურა შექმნა. ხომ გეუბნებით, ამ გამარჯვების შემდეგ სხვა თამაშები ფორმალობად გამოჩნდა, არადა, ასე არ იყო. მასთან შედარებით, პოლონეთთან შეხვედრაც იოლი გამოდგა და გერმანელებთან შეხვედრაც. ჩვენ თავს უკვე მსოფლიოს მძლეველებად ვთვლიდით და ვგრძნობდით, რომ ჩვენი დამმარცხებელი არავინ იყო.

**— ალბათ, მსოფლიო თასის გადმოცემის მომენტი თქვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი იყო...**

— რასაკვირველია. ეს ენით აუწერელი სიამოვნება გახლდათ. კაცი მთელი ცხოვრება ფეხბურთს რომ თამაშობ და მსოფლიოს ჩემპიონი ხდები, ოცნება გიხდება. ოღონდ, იმ წუთას კიდევ ვერ ხვდები, რამხელა სიმაღლე დაიპყარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კრუიფის წინადადება: ვალვერდე ან ვან ბასტენი

## რაიკარდი ბარსელონას ემშვიდობება?


ერნესტო ვალვერდე


მარკო ვან ბასტენი

**მოგეხსენებათ,** იოჰან კრუიფი „ბარსელონაში" ყველაფერია. როცა მფრინავი ჰოლანდიელი კატალონიურ გრანდს მართავდა, მაშინ ხომ პირველი კაცი იყო „კამპ ნოუზე" და ახლაც, როდესაც მწვრთნელობას კარგა ხანია, ჩამოცილებულია, ყველა გზა მაინც მისკენ მიდის. კრუიფს ესპანეთში ხშირად „ხუან ლაპორტას მოძღვარსაც" ეძახიან ხოლმე. ამბობენ, რომ „ბარსას" პრეზიდენტი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების წინ ყოველთვის დიდ იოჰანთან თათბირობს.

ამჯერად კრუიფმა პრეზიდენტს ფრანკ რაიკარდის მწვრთნელობიდან დათხოვნის შემთხვევაში ერნესტო ვალვერდე ტეხედორის მოყვანა ურჩია.

ბასკი ვალვერდე 2006-07 წლების სეზონში „ესპანიოლს" თავკაცობდა და მისმა შემტევმა სათამაშო სტილმა დიდი იოჰანი ფრიად მოხიბლა. ჰოლანდიელს სჯერა, რომ თუ ვალვერდე კატალონიის მთავარგუნდში დაიწყებს მუშაობას, „ბარსა" პრობლემებს მოაგვარებს.

აქამდე „ბარსელონას" ოფიციოზის ვერსია იყო, რომ რაიკარდს, სურვილის შემთხვევაში, დარჩენა შეეძლო და კლუბის უფროსობა მას არანაირ პრობლემებს არ შეუქმნიდა. ახლა კი ძალიან საინტერესოა, ფრანკი ლაპორტას ბანაკთან თანამშრომლობას ისევ მოინდომებს თუ არა. მწვრთნელი პრეზიდენტისგან ძველებურ მხარდაჭერას ვეღარ გრძნობს (ესპანური გაზეთები წერენ, რომ ლაპორტასა და რაიკარდის მოჩვენებითი მეგობრობის მიღმა საკმაოდ ღრმა კონფლიქტი იმალება) და ფეხბურთელებიც რაღაცნაირად, არასპორტულად იქცევიან.

ამბობენ, რომ მიუხედავად ჩემპიონობის დაკარგვისა, ლაპორტამ ჰოლანდიელს „კამპ ნოუზე" დარჩენა მაინც შესთავაზა, თუმცა რაიკარდისგან ბოლო პასუხი ვერ მიიღო. სავსებით შესაძლებელია, ყველაფერი სამხრეთ აფრიკაში გადაწყდეს, სადაც „ბარსელონა" 2006-07-ის უიღბლო სეზონს ამხანაგური მატჩით დაემშვიდობება.

კრუიფს თავისი კატალონიური გუნდისთვის სამარქაფოდ სხვა მწვრთნელი, თანამემამულე მარკო ვან ბასტენიც შეურჩევია.

ერნესტო ვალვერდემ კი „მარკასთან" საუბარში განაცხადა: „მხოლოდ ის ვიცი, რომ 17 ივლისს „ესპანიოლი" მზადებას დაიწყებს. „ბარსასგან" არავითარი შემოთავაზება არ მიმიღია".

ხოლო ბასკის წარმომადგენელმა პედრო ტომასმა აღნიშნა: „გავიგე „ბარსელონას" ვალვერდეთი დაინტერესების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე „კამპ ნოუზე" გადასვლის შესაძლებლობას სერიოზულად არც განვიხილავთ".

„ბარსამ" პრიმერადივიზიონში საამსეზონოდ ბოლო თამაში „ხიმნასტიკის" წინააღმდეგ გამართა და ჩემპიონობის დაკარგვით განერვიულებულმა ფანებმა „ნოუ ესტადიზე" არეულობა მოაწყვეს.

ჯერ უცნობია, გუნდში რა ცვლილებები მოხდება, თუმცა BOIXOS NOIS-ი („ცოფიანები" — „ბარსას" ინჩასთა ყველაზე აგრესიული დაჯგუფება) რომ ღელავს, ეს ცხადია. „ხიმნასტიკის" ფანებს თურმე „რეალის" საკლუბო შარფები ჰქონიათ შემოხვეული და „ცოფიანებს" მათთვის დიდი ცემა-ტყეპა გაუმართავთ.

**ლადო ხომერიკი**



# ვენგერს პარიზში რა უნდოდა?

**ამბების** გამოჩხრეკვათა დიდოსტატმა, ინგლისურმა გაზეთმა „სანმა" შეიტყო, რომ „ბარსელონაში" არსენ ვენგერის გადაბირების იდეაც გაუჩნდათ — მას მერე, რაც ჩემპიონობა „რეალს" გაატანა, ფრანკ რაიკარდის დღეები დათვლილიაო, იტყობინება საქმეში ჩახედული ხალხი.

შეგახსენებთ ერთ ინფორმაციას, რომელსაც წინა კვირაში „სარბიელის" მკითხველი გაეცნო: ვენგერი და „ბარსას" დირექტორი ფერან სორიანო ერთმანეთს პარიზში შეხვდნენ და შეხვედრის შედეგებზე არავის არაფერი უთხრეს.

მაშინ მთელმა მსოფლიო მედიამ ჩათვალა, რომ „არსენალისა" და „ბარსელონას" დიდმოხელენი ტიერი ანრის ლონდონიდან კატალონიაში გადაბარგებაზე საუბრობდნენ, მაგრამ ახლა გაჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ საუბარი სინამდვილეში ანრის კი არა, თავად ვენგერის ტრანსფერს ეხებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ბარსელონელებმა ანრისა და ვენგერის აყვანა ერთად მოიწადინონ, თუმცა ეს მეტად ძნელი და ძვირი იქნება.

სიძნელეთა შორის აუცილებლად აღსანიშნავია ფრანგი მწვრთნელის ჩვეული ფიცი-მტკიცი, კონტრაქტის პირობები არასდროს დამირღვევია და არც ამჯერად დავარღვევო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ლონდონში კიდევ ერთ წელიწადს უნდა გაჩერდეს, თუმცა ისიც ყველამ კარგად იცის, რომ „არსენალის" ახალი, ამერიკელი მეპატრონეების მიერ კლუბის ძველი და ერთგული შეფის, ვენგერის თანამებრძოლის და თანამოაზრის დევიდ დინის გაშვება მისთვის დიდი დარტყმა იყო.

**ბაჩუნა ძიდია**

# გრცხვენოდეთ!

## ხავიერ სავიოლა ბარსელონას უკანა კარიდან ჩუმად ტოვებს და მადრიდის რეალში მიდის?



**იგი** „ბარსელონაში" არგენტინის მიერ მოგებული ახალგაზრდული მუნდიალის შემდეგ იმედისმომცემ ვარსკვლავად მივიდა. ხავიერ სავიოლას, იგივე „ბაჭიას", კატალონიელი გულშემატკივრები თავიდან სიხარულით შეხვდნენ, თუმცა თითქმის 6 წლის შემდეგ არგენტინელი ამ გრანდს უჩუმრად, უკანა კარიდან ტოვებს.

„გადავწყვიტე, „ბარსელონა" დავტოვო და ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი დავიწყო" — განაცხადა სავიოლამ „კამპ ნოუზე" გამართულ თავის ბოლო პრესკონფერენციაზე.

„ბაჭიამ" თქვა, რომ კატალონიელთა უფროსობის ქცევით გულნატკენია.

— „ბარსას" თავკაცებს შეეძლოთ, ჩემთან მიმართებაში უკეთესადაც მოქცეულიყვნენ. გუნდს გაორებული გრძნობით ვტოვებ, აქაურ ინჩალასთან განშორება მიჭირს, თუმცა ერთგვარი ჩიხიდან თავის დაღწევის პერსპექტივაც ცუდი არ არის... ვთვლი, რომ ამ გუნდის სასარგებლოდ მეტის გაკეთება შემეძლო — აღნიშნა არგენტინელმა და მერე დასძინა — მრცხვენია, „კამპ ნოუდან" ასე უსახურად რომ მივდივარ, ხელმძღვანელობამ ხალხთან ხეირიანად გამოთხოვების შანსიც არ მომცა".

სავიოლას „ბარსელონასთან" კონტრაქტი ოფიციალურად 30 ივნისს უმთავრდება. „ბაჭია" ამ ექვსი წლის განმავლობაში „მონაკოში" და „სევილიაში" იყო იჯარით განათხოვრებული. ახლა კი აცხადებს, რომ „ბარსელონას" საუკუნო მტერთან მადრიდის „რეალთან" თანამშრომლობასაც არ გამორიცხავს: „უკვე ვთქვი, რომ ცხვირწინ კარს არავის მივუჯახუნებ. შურისძიების გრძნობა არ მამოძრავებს, სამომავლო გუნდს პროფესიული თვალსაზრისით ავირჩევ".

შეგახსენებთ, რომ „ბაჭიათი" „რეალი" და „სარაგოსა" არიან დაინტერესებულნი.

**ლადო ხომერიკი**



ბერნდ შუსტერი



ფაბიო კაპელო და რამონ კალდერონი

# მოგებულმა კაპელომ შუსტერთან წააგო

## კალდერონი ახალ მწვრთნელს დღე-დღეზე გამოაცხადებს

**დებატები** „რეალის" მომავალი მწვრთნელის თაობაზე დასრულდა — წააგო ფაბიო კაპელომ, მოიგო ბერნდ შუსტერმა.

სამეფო გუნდის ჩემპიონობა პრეზიდენტ რამონ კალდერონისა და „რეალის" დირექტორატის გადაწყვეტილებას არ შეცვლის — უკვე მარტში გაცნობეთ, რომ სენიორ კალდერონმა თავისი გუნდის თავკაცად გერმანელი სპეციალისტი ბერნდ შუსტერი აირჩია.

ესპანური მედიის ცნობით, „ბერნარდო" სამეფო გუნდის დამრიგებლობას 1 ივლისიდან ჩაიბარებს, თუმცა გერმანელის დანიშვნა ოფიციალურად კოპა დელ რეის ფინალის შემდეგ (23 ივნისი) გახმაურდება. შუსტერის ამჟამინდელი „ხეტაფე" თასის ფინალში „სევილიას" უნდა შეერკინოს, მატჩი კი „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება.

„ასი" გვატყობინებს, რომ რამონ კალდერონმა კლუბის სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩთან მნიშვნელოვანი შეხვედრა მომავალი კვირისთვის გადადო. წესით, ამ შეხვედრაზე „რეალის" ახალი მესაჭე უნდა დაესახელებინათ. თუმცა ყველაფერი უკვე გარკვეულია. ყოველ შემთხვევაში, „ასის" ვერსიით, რომელიც „რეალის" უმთავრესი მებაირაღე და მესაიდუმლეა, კაპელო გაისად „ბერნაბეუზე" აღარ იმუშავებს.

პრეზიდენტსა და მწვრთნელს ერთმანეთთან ურთიერთობა 2007 წლის მარტში გაუფუჭდათ. მაშინ „რეალი" სხვადასხვა პრობლემების გამო სულს ღაფავდა, კალდერონმაც ნაბიჯი ჯიქურ გადადგა და შუსტერს წინასწარ მოურიგდა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, კაპელოს ყურამდეც მივიდა და იტალიელიც დღემდე ცივად, ოდენ საქმიანად ესალმება სამეფო თეთრების ექსპანსიურ პრეზიდენტს. აკი განაცხადა კიდეც „მალიორკასთან" ბოლო საჩემპიონო თამაშის შემდეგ — ოქროს მედლები პრაქტიკულად მარტომ მოვიგე, კალდერონისგან დიდი მხარდაჭერა არ მიგრძვნიაო.

მოკლედ, დონ ფაბიო წამსვლელია და მან ისიც თქვა, თუ გამიშვებენ, შესაძლოა, საერთოდ, ფეხბურთიდანაც წავიდეო...

„ბერნარდოსთან" „რეალის" პაქტი კი რესტორან „პორტობელოში" გაფორმდა. კალდერონმა და გერმანელმა 22 მარტს ხელი ხელს დაჰკრეს და ყოველი შემთხვევისთვის თავიც დაიზღვიეს — თუ რომელიმე მხარე შეთანხმებას დაარღვევდა, მილიონი ევროს გადახდა მოუწევდა. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ხსენებულ მილიონს არც მადრიდული გრანდი გადაიხდის და არც შუსტერი, რომლის ოცნებაც მადრიდული გუნდის მწვრთნელობაა.

„მზად ვარ, მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალი" ჩავიბარო. ამისთვის უკვე კარგა ხანია, ვემზადები. „რეალი" ჩემს უპირველეს გეგმებშია" — განაცხადა შუსტერმა.

„რეალის" მომავალი ტექნიკური დირექტორი კი სანტანდერის „რასინგის" ამჟამინდელი მწვრთნელი მიგელ ანხელ პორტუგალი იქნება, ხოლო კაცი, რომელიც ამ თანამდებობაზე აქამდე მუშაობდა — იტალიელი ფრანკო ბალდინი — სამშობლოში დაბრუნებას აპირებს.

**ლადო ხომერიკი**

# ბოდიშიანი გოლი

**მაჰამადუ დიარას** მიერ „მალიორკასთან" გატანილმა გოლმა მალელი ნახევარმცველი სამშობლოში ნამდვილ გმირად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ დიარამ მალის ნაკრების შემადგენლობაში სიერა ლეონესთან არ ითამაშა (ის მატჩი მალიმ 6:0 მოიგო) და „რეალის" გამო ეროვნულ გუნდში გამოუცხადებლობისთვის მძაფრი კრიტიკაც დაიმსახურა, მის მშობლიურ ქვეყანაში კარგად მიხვდნენ „მალიორკასთან" გოლის მნიშვნელობას და „რეალის" ჩემპიონობაც ნამდვილი მადრიდელებივით იზეიმეს.



AFP

ამ აფრიკულ ქვეყანაში ესპანურ ლა ლიგას დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს — „რეალში" და „სევილიაში" ხომ მალელები, მაჰამადუ დიარა და ფრედი კანუტე თამაშობენ. პრიმერას მატჩები ტელევიზიის (ORTN MALI) და რადიოს (CHAINE 2) საშუალებით გადაიცემა.

როდესაც დიარამ მოიას კარი დალაშქრა, კომენტატორმა ეს მოვლენა ისე ემოციურად გამოხატა, თითქოს მალის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატი მოეგოს.

შემდეგ იყო დიდი აფრიკული ზეიმი ბამაკოს სტადიონზე სიერა ლეონესთან იოლად მოგებულ მატჩს ყურადღება ვილამ მიაქცია, ყველას პირზე ძლევამოსილი დიარას სახელი ეკერა...

როცა მაჰამადუმ ნაკრებში გამოცხადებაზე უარი თქვა, „რეალს" პრიმერადივიზიონის ფინალურ მატჩში ვერ მივატოვებო, მალიში თანამემამულეს ფიზიკური განადგურებითაც კი დაემუქრნენ. თუმცა მადრიდული ფიესტას შემდეგ აფრიკამ თავის შვილს „ღალატი" აპატია.

ბამაკოში ორშაბათს ტელევიზით „რეალ" — „მალიორკას" შეხვედრა გულდასმით განიხილეს და ამაყად გამოაცხადეს: „მაჰამადუ დიარამ ჩვენი ქვეყნისადმი ერთგულება და სიყვარული კიდევ ერთხელ დაამტკიცა. იგი „რეალის" საჩემპიონო ზეიმზე მალის დროშას აფრიალებდა".

ოღონდ იმის გამო, რომ დიარა ნაკრებში არ გამოცხადდა, აფრიკელებს ვინმეზე ჯავრი ხომ უნდა ეყარათ და მალიმ... ფიფა გალანძღა. ბამაკოს ქუჩებში მსოფლიო ფეხბურთის ფედერაციის საწინააღმდეგო ლოზუნგები გაჩნდა, როგორ თუ ფიფამ მაჰამადუს „რეალში" დარჩენის უფლება მისცაო.

მალი აფრიკის თასის შესარჩევ ჯგუფში 9 ქულით ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებზე კი ტოგო და ბენინი არიან.

**ლადო ხომერიკი**

## რეიესი მადრიდიდან მადრიდში

**„რადიო მარკას"** ცნობით, ხოსე ანტონიო რეიესი „რეალიდან" „ატლეტიკოში" გადადის.

ფეხბურთელი ლონდონის „არსენალს" ეკუთვნის და შარშან ერთი წლით ათხოვეს „სამეფო კლუბს". იჯარის ვადა ამოიწურა და „რეალის" შეფებს მისი დატოვება აღარ უნდათ. რეიესს კი ინგლისში დაბრუნება არ სურს და ქალაქის ერთი გუნდიდან მეორეში გადაბარგდება.

## დეშანს ბილბაოს სთავაზობენ

**დიდიე დეშანი** ევებ „ბილბაოს" მწვრთნელად დანიშნონ, საიდანაც სამი დღის წინ ხოსე მანუელ ესნალი წავიდა.

ივლისში „ბილბაოს" პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება და ერთ-ერთი კანდიდატი აპირებს დეშანის მიწვევას, რომელიც ტურინის „იუვენტუსიდან" სამი კვირის წინ აიბარგა.

## სტოიჩკოვი სელტაში დარჩა

**ვიგოს** „სელტამ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ სეგუნდადივიზიონში გავარდნის მიუხედავად, ხრისტო სტოიჩკოვი გუნდის თავკაცად დარჩება.

„სელტამ" უკვე დაიწყო გაძლიერება მომავალი სეზონისთვის. ბულგარული „ლიტექსიდან" მარცხენა მცველი პეტერ ზანევი ერთი წლით ითხოვა შემდგომში კონტრაქტის გამოსყიდვის პირობით.

## ჩაქუჩი ისლანდიელისთვის

**ესპანური** „სპორტის" ცნობით, ეიდურ გუდიონსენის ყიდვა ლონდონის „ვესტ ჰემს" უნდა.

ისლანდიელი ფორვარდი 18 მილიონ ევროდაა შეფასებული და „ჩაქუჩები" მზად არიან, გადაიხადონ ეს თანხა.

გუდიონსენისადმი ინტერესს „ნიუკასლი" და „მანჩესტერიც" იჩენენ. შევახსენებთ, რომ ფეხბურთელი „ბარსელონაში" შარშან გადავიდა „ჩელსიდან".

**გაგა ხუციშვილი**

# სარზიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 152 | ვერონა-სპეცია | 1.80 | 3.10 | 3.90 | 1.13 | 1.23 | 1.72 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 1 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 1.35 | 3.50 | 7.30 | 1.00 | 1.13 | 2.36 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 19 | ბრანი-ალესუნდი | 1.35 | 3.80 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.39 |
| 21:00 | 20 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსო | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| 21:00 | 21 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 21:00 | 22 | სტაბეკი-ვიკინგი | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 23:25 | 23 | ვოლერენგა-ლინი | 2.20 | 3.10 | 2.70 | 1.28 | 1.21 | 1.44 |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 24 | სტარტ-ოდ გრენლანდი | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 22:30 | 25 | როზენბორგი-ლილესტრიომი | 1.90 | 3.20 | 3.35 | 1.19 | 1.21 | 1.63 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 33 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 21:00 | 34 | ჰონეფოსი-მანდალი | 1.35 | 3.80 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.46 |
| 21:00 | 35 | ლოვ ჰამ-ბოდო გლიმტი | 4.00 | 3.50 | 1.70 | 1.86 | 1.19 | 1.14 |
| 21:00 | 36 | მოლდე-ნოტოდენი | 1.35 | 3.80 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.46 |
| 21:00 | 37 | მოსი-სკეიდი | 1.30 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.66 |
| 21:00 | 38 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 21:00 | 39 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 21:00 | 40 | სპარტა ს-ჰამარი | 5.00 | 4.10 | 1.45 | 2.25 | 1.12 | 1.07 |
| | | შვედეთი. სუპერეტა. 20 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 59 | სირიუსი-ნორჩიოპინგი | 2.90 | 3.20 | 2.10 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 60 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 21:00 | 61 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| 21:00 | 62 | ლიუნგსკილე-ოსტერსი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 75 | ნიიგატა-იოკოჰამა ფკ | 1.35 | 3.80 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.39 |
| 14:00 | 76 | ტოკიო-კოფუ | 1.85 | 3.20 | 3.45 | 1.17 | 1.20 | 1.66 |
| 14:00 | 77 | ივატა-ომია | 1.45 | 3.20 | 6.00 | 1.00 | 1.16 | 2.08 |
| 14:00 | 78 | კაშივა-კაშიმა | 2.30 | 3.00 | 2.70 | 1.30 | 1.24 | 1.42 |
| 14:00 | 79 | ნაგოია-შიმიცუ | 2.10 | 3.10 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.49 |
| 14:00 | 80 | ოიტა-ინაპარა | 2.00 | 3.10 | 3.15 | 1.21 | 1.22 | 1.56 |
| 14:00 | 81 | ჰიროსიმა-კავასაკი | 2.40 | 3.00 | 2.55 | 1.33 | 1.23 | 1.37 |
| 14:00 | 82 | ურავა-კობე | 1.40 | 3.50 | 6.70 | 1.00 | 1.15 | 2.29 |
| 14:00 | 83 | იოკოჰამა ფმ-გამბა | 3.35 | 3.20 | 1.90 | 1.63 | 1.21 | 1.19 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 94 | კოლამბუსი-კანზასი | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 95 | ჰიუსტონი-ჩივასი | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები(21) ჰოლანდია | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 1.90 | 3.20 | 3.00 | 1.19 | 1.16 | 1.54 |
| 22:45 | 156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 2.15 | 3.00 | 2.75 | 1.25 | 1.20 | 1.43 |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 2.15 | 3.00 | 2.80 | 1.25 | 1.21 | 1.44 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | შვედეთი. თასი | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.65 | 3.30 | 4.30 | 1.10 | 1.19 | 1.86 |
| 21:00 | 113 | იორგრიტე-მიალბი | 1.80 | 3.20 | 3.60 | 1.15 | 1.20 | 1.69 |
| | | ოქროს თასი 2007 (აშშ) | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 153 | კანადა-აშშ | 5.85 | 3.80 | 1.40 | 2.30 | 1.12 | 1.02 |
| 23:45 | 158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.30 | 3.90 | 6.80 | 1.00 | 1.09 | 2.47 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 120 | გრემიო-ბოკა ხუნიორსი | 1.80 | 3.20 | 3.60 | 1.15 | 1.20 | 1.69 |

## I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 1.55 | 2.30 | 5.50 | 1.00 | 1.20 | 1.62 |
| 10019 | ბრანი-ალესუნდი | 1.55 | 2.30 | 5.50 | 1.00 | 1.20 | 1.62 |
| 10020 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსო | 2.55 | 2.00 | 2.95 | 1.12 | 1.36 | 1.19 |
| 10021 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 2.60 | 2.00 | 3.20 | 1.13 | 1.43 | 1.23 |
| 10022 | სტაბეკი-ვიკინგი | 2.35 | 2.10 | 3.40 | 1.10 | 1.38 | 1.29 |
| 10023 | ვოლერენგა-ლინი | 2.55 | 2.00 | 3.20 | 1.12 | 1.41 | 1.23 |
| 10033 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 2.15 | 2.00 | 3.85 | 1.03 | 1.37 | 1.31 |
| 10034 | ჰონეფოსი-მანდალი | 1.65 | 2.20 | 6.50 | 1.00 | 1.31 | 1.64 |
| 10035 | ლოვ ჰამ-ბოდო გლიმტი | 4.30 | 2.10 | 2.15 | 1.41 | 1.43 | 1.06 |
| 10036 | მოლდე-ნოტოდენი | 1.65 | 2.10 | 6.50 | 1.00 | 1.31 | 1.58 |
| 10037 | მოსი-სკეიდი | 1.65 | 2.50 | 7.50 | 1.00 | 1.35 | 1.87 |
| 10038 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 2.65 | 2.10 | 3.15 | 1.17 | 1.43 | 1.25 |
| 10039 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 2.00 | 2.20 | 4.30 | 1.04 | 1.36 | 1.45 |
| 10040 | სპარტა ს-ჰამარი | 4.50 | 2.60 | 1.70 | 1.64 | 1.23 | 1.02 |
| 10112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 2.00 | 2.10 | 4.60 | 1.02 | 1.39 | 1.44 |
| 10113 | იორგრიტე-მიალბი | 2.25 | 2.00 | 4.00 | 1.05 | 1.44 | 1.33 |
| 10155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 2.30 | 2.10 | 3.20 | 1.09 | 1.33 | 1.26 |
| 10156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 2.50 | 2.00 | 3.20 | 1.11 | 1.40 | 1.23 |
| 10157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11019 | ბრანი-ალესუნდი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11020 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11021 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11022 | სტაბეკი-ვიკინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11023 | ვოლერენგა-ლინი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11033 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11034 | ჰონეფოსი-მანდალი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11035 | ლოვ ჰამ-ბოდო გლიმტი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11036 | მოლდე-ნოტოდენი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11037 | მოსი-სკეიდი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11038 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11039 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11040 | სპარტა ს-ჰამარი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11113 | იორგრიტე-მიალბი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 1.20 | 2.60 |
| 14019 | ბრანი-ალესუნდი | 1.20 | 2.60 |
| 14020 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსო | 1.80 | 2.00 |
| 14021 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 1.80 | 2.00 |
| 14022 | სტაბეკი-ვიკინგი | 1.70 | 2.20 |
| 14023 | ვოლერენგა-ლინი | 1.80 | 2.00 |
| 14033 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 1.65 | 2.30 |
| 14034 | ჰონეფოსი-მანდალი | 1.20 | 2.60 |
| 14035 | ლოვ ჰამ-ბოდო გლიმტი | 2.40 | 1.45 |
| 14036 | მოლდე-ნოტოდენი | 1.20 | 2.60 |
| 14037 | მოსი-სკეიდი | 1.08 | 2.90 |
| 14038 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 1.80 | 2.00 |
| 14039 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 1.30 | 2.50 |
| 14040 | სპარტა ს-ჰამარი | 2.60 | 1.20 |
| 14112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.45 | 2.40 |
| 14113 | იორგრიტე-მიალბი | 1.65 | 2.30 |
| 14155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 1.70 | 2.20 |
| 14156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 1.75 | 2.10 |
| 14157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 1.75 | 2.10 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15020 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსო | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15021 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15022 | სტაბეკი-ვიკინგი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15023 | ვოლერენგა-ლინი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15033 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15035 | ლოვ ჰამ-ბოდო გლიმტი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15038 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15039 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15040 | სპარტა ს-ჰამარი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15113 | იორგრიტე-მიალბი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 2.70 | 2.70 | 2.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 1.55 | 2.00 |
| 12019 | ბრანი-ალესუნდი | 2.20 | 1.50 |
| 12020 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსო | 2.00 | 1.60 |
| 12021 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 2.00 | 1.50 |
| 12022 | სტაბეკი-ვიკინგი | 1.80 | 1.60 |
| 12023 | ვოლერენგა-ლინი | 1.80 | 1.60 |
| 12033 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 2.10 | 1.50 |
| 12034 | ჰონეფოსი-მანდალი | 2.20 | 1.40 |
| 12035 | ლოვ ჰამ-ბოდო გლიმტი | 2.20 | 1.40 |
| 12036 | მოლდე-ნოტოდენი | 2.20 | 1.40 |
| 12037 | მოსი-სკეიდი | 2.20 | 1.40 |
| 12038 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 2.10 | 1.50 |
| 12039 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 2.10 | 1.50 |
| 12040 | სპარტა ს-ჰამარი | 2.10 | 1.45 |
| 12112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.80 | 1.60 |
| 12113 | იორგრიტე-მიალბი | 1.80 | 1.60 |
| 12155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 1.60 | 1.80 |
| 12156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 1.60 | 1.80 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბრანი-ალესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსო | 1.85 | 1.95 |
| 17021 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | სტაბეკი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ვოლერენგა-ლინი | 1.85 | 1.95 |
| 17033 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17034 | ჰონეფოსი-მანდალი | 1.85 | 1.95 |
| 17035 | ლოვ ჰამ-ბოდო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 17036 | მოლდე-ნოტოდენი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | მოსი-სკეიდი | 1.85 | 1.95 |
| 17038 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17039 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | სპარტა ს-ჰამარი | 1.85 | 1.95 |
| 17112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.85 | 1.95 |
| 17113 | იორგრიტე-მიალბი | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 1.85 | 1.95 |
| 17156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 1.85 | 1.95 |
| 17157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 1.85 | 1.95 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 1.10 | 5.50 |
| 16019 | ბრანი-ალესუნდი | 1.10 | 5.50 |
| 16020 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსო | 1.55 | 2.20 |
| 16021 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 1.55 | 2.20 |
| 16022 | სტაბეკი-ვიკინგი | 1.40 | 2.55 |
| 16023 | ვოლერენგა-ლინი | 1.55 | 2.20 |
| 16033 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 1.32 | 3.00 |
| 16034 | ჰონეფოსი-მანდალი | 1.10 | 5.50 |
| 16035 | ლოვ ჰამ-ბოდო გლიმტი | 2.90 | 1.32 |
| 16036 | მოლდე-ნოტოდენი | 1.10 | 5.50 |
| 16037 | მოსი-სკეიდი | 1.08 | 5.00 |
| 16038 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 1.55 | 2.20 |
| 16039 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 1.22 | 3.40 |
| 16040 | სპარტა ს-ჰამარი | 3.60 | 1.24 |
| 16112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.23 | 3.60 |
| 16113 | იორგრიტე-მიალბი | 1.30 | 3.00 |
| 16155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 1.34 | 2.80 |
| 16156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 1.52 | 2.20 |
| 16157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 1.52 | 2.20 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13112 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.60 | 1.80 |
| 13113 | იორგრიტე-მიალბი | 1.60 | 1.80 |
| 13155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 1.80 | 1.60 |
| 13156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 1.80 | 1.60 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ტონგამ საქართველო დაბლა დაწია



ფრანსუა შტეინის არეკნებმა სამხრეთ აფრიკა რეიტინგში დააწინაურა

**ბუქარესტში** დასრულებული სადებიუტო მსოფლიოს ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა სამიდან ორი მატჩი რომ მოიგო და ექვსგუნდა რაგბობაში მესამე ადგილი დაიკავა, უკვე ძველი ამბავია. ახალი კი რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში ჩვენების დაქვეითებაა.

IRB-ის ერთა თასზე ჩვენებმა ნამიბიას რომ მოუგეს, რეიტინგში ერთი საფეხურით დაწინაურდნენ და მე-16 ადგილი დაიკავეს. მერე „ლელოებმა“ სამხრეთ აფრიკის „მომავლის ქურციკებთან“ წააგეს და იტალიის „ა“ ნაკრებს მოუგეს, მაგრამ რეიტინგში მაინც დაქვეითდნენ.

ამაში მთავარი „დამნაშავე“ კი ტონგაა, რომელმაც გასულ უქმეებზე IRB-ის ოკეანეთის თასზე სტუმრად სენსაციურად მოუგო ფიჯის და გვარიანი სარეიტინგო ქულები მოიპოვა. ამით ტონგა მე-18 ადგილიდან მე-14-ზე ალზევდა და აქამდე მასზე წინ მყოფნი — აშშ, რუმინეთი, საქართველო და იაპონია თითო საფეხურით დააქვეითა.

მაგარი ნახტომი გააკეთეს სამხრეთაფრიკელმა „ქურციკებმა“. წლევანდელი სამი ერის სტარტზე სამხრეთ აფრიკამ ფრანსუა შტეინის გვიანი არეკნებით ავსტრალიას მოუგო და მეოთხე ადგილიდან მეორეზე აცოცდა. აფრიკელთა დაწინაურება წლევანდელ მსოფლიოს თასზე საქართველოს მეტოქეთაგან მხოლოდ საფრანგეთს შეეხო, რომელმაც სამხრეთული ტესტები ჩააფლავა და ერთი ადგილით ჩამორეიტინგდა. ჩვენების სამსოფლიოსთასო მეტოქეებიდან დანარჩენები — ირლანდია, არგენტინა და ნამიბია თავიანთ ადგილებს ინარჩუნებენ, ისევე როგორც ევროპის ერთათასელები პორტუგალია, რუსეთი, ესპანეთი და ჩეხეთი.

**ბაჩო სვანიძე**

**IRB-ის რეიტინგი 2007**

| | | |
|---|---|---|
| 1(1) | ახ. ზელანდია | 94,59 |
| 2 (4) | ს. აფრიკა | 85,87 |
| 3 (2) | საფრანგეთი | 85,66 |
| 4 (3) | ავსტრალია | 84,80 |
| 5 (5) | ირლანდია | 82,52 |
| 6 (6) | არგენტინა | 82,43 |
| 7 (7) | ინგლისი | 78,93 |
| 8 (8) | უელსი | 76,26 |
| 9 (9) | იტალია | 75,53 |
| 10 (10) | სამოა | 74,97 |
| 11 (11) | შოტლანდია | 73,94 |
| 12 (12) | ფიჯი | 70,52 |
| 13 (13) | კანადა | 70,06 |
| 14 (18) | ტონგა | 67,52 |
| 15 (14) | აშშ | 67,20 |
| 16 (15) | რუმინეთი | 66,79 |
| 17 (16) | საქართველო | 66,38 |
| 18 (17) | იაპონია | 65,85 |
| 19 (19) | რუსეთი | 64,37 |
| 20 (20) | ურუგვაი | 63,29 |
| 21 (21) | პორტუგალია | 62,03 |
| 22 (22) | ესპანეთი | 59,49 |
| 24 (24) | ნამიბია | 58,96 |
| 35 (35) | ჩეხეთი | 51,97 |

# საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი წრე. მეხუთე ტური

**ლელო 38:10 არმაზი**

**ლელო:** სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, სხილაძე, ჩიტიძე, მაისურაძე, მძინარიშვილი, ჯამრულიძე, ახალაია, თოფურია, ხმალაძე, ცერცვაძე, მანჯავიძე, თოდუა, ზაალიშვილი, ყიასაშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: დაუშვილი, ჯოგლიძე, იორდანიშვილი, კობეშავიძე, ქიზიყურაშვილი

5ლ: ხმალაძე (2), ჯამრულიძე, თოდუა, ყიასაშვილი; 5მ: ყიასაშვილი, ჩ: ყიასაშვილი

**არმაზი:** ლამბაშიძე, სოსელია, ქართველიშვილი, ჯიშკარიანი, მელიქიძე, კანდელაკი, პინაიშვილი, ცირეკიძე, მჭავანაძე, ურჯუკაშვილი, მინაშვილი, ძნელაძე, კაიფაჯიანი, ხინთიბიძე, ჩხაიძე

შეცვლაზე შევიდნენ: მაჭარაძე, ლუკავა

2ლ: სოსელია, გუნდური ლელო

# ლელო სახელს ამართლებს

გუშინ „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის ჯახში „ლელომ“ „არმაზს“ ხუთი ლელო, ამდენივე გარდასახვა და ერთიც საჯარიმო გაუტანა. „ლელო“ რომ გამართულად რაგბობს, ამას წყალი არ გაუვა. პირველ წრეში ერთი თამაში წააგო „ყოჩებთან“ და ისიც ბოლო წუთზე გაშვებული საჯარიმოთი. ალბათ მათი რეალური ძალა „ლოკომოტივთან“ გადადებულ მატჩში გამოჩნდება, მაგრამ აშკარაა, რომ გუნდი კარგადაა დაბალანსებული და რამდენიმე მოთამაშე სამომავლოდ ალბათ მთავარ ნაკრებსაც დაეხმარება.

„არმაზმა“ ვერაფერი გააწყო „ლელოს“ ზორბა მორბენლებთან, რომლებიც როცა უნდოდათ, მაშინ არღვევდნენ მოწინააღმდეგის დაცვას და თითქმის ყველა ლელო თავიანთი ნახევრიდან წამოწყებული დრიბლინგით გაიტანეს. პირველ ტაიმში ანგარიში უკვე 17:0 იყო. მეორე ტაიმში 31:0-ზე „ლელოელები“ მოეშვნენ და „არმაზს“ მოლით ლელო გაატანინეს. წლევანდელ გათამაშებაში „არმაზის“ მთავარი კოზირი მაინც შერკინებაა და გატანილი ლელოების უმეტესობაც სწორედ მათზე მოდის. შეხვედრა საბოლოოდ 38:10 დამთავრდა. დღეს ტურის დარჩენილი ორი შეხვედრა გაიმართება. „ლოკომოტივი“, სავარაუდოდ, „დინამოს“ დაუმტკიცებს, რომ საქართველოში მისი მძლეველი არ მოიძებნება. ხოლო „ყოჩები“ შეეცდებიან, თსუ“-ს ნანატრი ორი ქულა აართვან.

**ზურაბ მიგრიაული**



# იტალიამ 37 დაითვალა

## ბერბიზიეს სიაში ქართველთაგან ძლეულებიც არიან

**იტალიის** ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა პიერ ბერბიზიემ დიდხანს არ დააყოვნა და წლევანდელი მსოფლიოს თასის ორგანიზატორებს ვადამდე ადრე გაუგზავნა 37-კაცა განაცხადი. დავაზუსტოთ, რომ განაცხადი წინასწარია და თასზე მონაწილე ოცივე ნაკრების უფროსობამ სავარაუდო სია თვის ბოლომდე უნდა გაგზავნოს.

ბერბიზიეს რჩეულთა სია ასეთია:

*მოთამაშეები: მატიას აგუერო, რობერტო ბარბიერი, მაურო ბერგამასკო, ვალერიო ბერნაბი, მარკო ბორტოლამი, მარტინ კასტროჯოვანი, კარლო ანტონიო დელ ფავა, სანტიაგო დელაპე, პოლ დერბიშირი, კარლო ფესტუჩია, ლეონარდო ჯილარდინი, ანდრეა ლო ჩიჩერო, კარლოს ნიეტო, ფაბიო ონგარო, სილვიო ორლანდო, სერჯიო პარისე, სალვატორე პერუჯინი, ჯოშ სოლე, ფაბიო სტაიბანო, მაურიციო ძაფარი, ალესანდრო ზანი;*

*შეტევა ხაზი: მირკო ბერგამასკო, დავიდ ბორტოლუსი, კრისტოფერ ბარტონი, გონსალო კანალე, პაბლო კანავოსიო, როლანდ დე მარინი, ალესიო გალანტე, ეციო გალონი, პოლ გრიფინი, ანდრეა მასი, ლუდოვიკო ნიტოლია, ლუსიანო ორკერა, რამირო პეცი, მატიო პრატიჩეტი, კეინ რობერტსონი, ალბერტო სგარბი, მარკო სტანოევიჩი, ალესანდრო ტრონკონი.*

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — ბერბიზიეს სამსოფლიოსთასო განაცხადში შვიდი ის მორაგბე მოხვდა, რომლებიც ახლახან დასრულებულ IRB-ის ერთა თასზე იტალიის A ნაკრებში საქართველოსთან ითამაშეს. ესენი არიან: პოლ დერბიშირი, ლეონარდო ჯირალდინი, სერჯიო პარიზე, ანდრეა მასი, ლუსიანო ნიტოლია, მაურიანო ორკერა, ალბერტო სგარბი.

**ბაჩო სვანიძე**

# ქორის წელი

**ინგლისის** ნაკრების მორკინალი მარტინ ქორი სეზონის მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს. დავაზუსტოთ, რომ გამოკითხვა რაგბის საერთაშორისო საბჭომ მოთამაშეებში ჩაატარა და ორმოცამდე ნაკრების მორაგბეთა გარდა ელიტარული კლუბების მორაგბეების აზრიც გაითვალისწინა.

საბოლოო შედეგებით ოცი ათასამდე გამოკითხულმა სეზონის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ მარტინ ქორი დაასახელა, რომელმაც უკან მოიტოვა ყველაფრის ფავორიტ ახალი ზელანდიის ზემორაგბე და კაპიტანი რიჩი მაკქოუ და არგენტინელი მოიერიშე მარტინ ერნანდესი. სხვათა შორის, ერნანდესი უტიტულოდ არ დარჩა და სეზონის აღმოჩენა შეიქნა.

საუკეთესო მწვრთნელად კი ინგლისური „ბრისტოლის“ 37 წლის მწვრთნელი რიჩარდ ჰილი აღიარეს, ვინც 2003 წელს ინგლისის ნაკრებში რაგბობდა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ჰილმა მორაგბის კარიერა შარშან დაასრულა, მწრთნელობა დაიწყო. გამოკითხვაში კი გადაასწრო იტალიის ნაკრების ფრანგ თავკაც პიერ ბერბიზიეს და ავსტრალიელ პატ ოვარდს, ვინც შარშან ზაფხულში მსოფლიო კრებულს „ბარბაროსებს“ მოძღვრავდა ჩვენების წინააღმდეგ.

საუკეთესო ახალგაზრდად უელსელი ათინომერი ჯეიმს ჰუკი დაასახელეს. ამ ნომინაციაში ჰუკმა უკან მოიტოვა თანამემამულე ტიმ რიისი და სამხრეთაფრიკელთა იმედი ფრანსუა შტეინი.

სეზონის მატჩად კი გაზაფხულზე გამართული ტესტი ინგლისი — არგენტინა აღიარეს. მოსისხლეთა ჯახი ინგლისური რაგბის მექაში, „თვიქნემზე“ შედგა და არგენტინამ 25:18 მიარაგბა მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისი.

სეზონის იმედგაცრუებად სწორედ ინგლისის ნაკრები მიიჩნიეს, ხოლო პროგრესირებად გუნდად კი იტალია დასახელდა, რომელმაც 2000 წელს აქეთ პირველად შეძლო ექვს ერზე ორი მატჩის მოგება.

**ბაჩო სვანიძე**




მარტინ ქორი



რიჩარდ ჰილი

# ფიბას დიადები


სერგეი ბელოვი

**ორშაბათს** საერთაშორისო საკალათბურთო ფედერაციამ იმ ოცი საკალათბურთო მოღვაწის ვინაობა გამოაცხადა, რომლებიც ამ ორგანიზაციის (ფიბა) დიდების დარბაზში შევლენ. ეს დარბაზი ამა წლის 1 მარტს გაიხსნა მადრიდის გარეუბან ალკობენდასეში და მასში ნელ-ნელა იდებენ ბინას მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ამ ჯერზე იქ 20 წევრი შეიყვანეს — მოთამაშეები, მწვრთნელები, მსაჯები და სხვა საკალათბურთო ფუნქციონერები.

აი, ისინიც: 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი სერგეი ბელოვი, საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრების მწვრთნელი ლიდია ალექსეევა, რიგის ტე-ტე-ტეს ცენტრალური თავდამსხმელი ულიანა სემიონოვა... ნიკოს გალისი (საბერძნეთი), დრაჟენ დალიპაგიჩი (სერბეთი), ივო დანეუ (სლოვენია), ოსკარ ფურლონგი (არგენტინა), პიერლუიჯი მარზორატი (იტალია), ამაური პასოსი (ბრაზილია), ემილიო როდრიგესი (ესპანეთი), ბილ რასელი (აშშ), ჰორტენზია მარკარი (ბრაზილია), ენ მაიერსი (აშშ).

ფიბას დიდების დარბაზში შევიდნენ ასევე მწვრთნელები: დინ სმიტი (აშშ), რანკო ჟერავიცა (სერბეთი) და სუარეს კანელა (ბრაზილია).

დიდების დარბაზში ამ პატივცემული ხალხის შეყვანის ოფიციალური ცერემონიალი 12 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს გაიმართება.

# ბრაიანტმა ჩვენება შეცვალა



„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სუპერვარსკვლავმა კობი ბრაიანტმა ამას წინათ ერთ-ერთ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ გუნდის გამოცვლა სურს. ეს ამბავი ელვისებურად მოედო ჟურნალისტთა ამქარს და როცა კობის კვლავ დაეკითხნენ თავისი სურვილის შესახებ, მან უწინდელი განზრახვა უარყო, „ლეიკერსში" თავს ჩინებულად ვგრძნობ და არსად წასვლასაც არ ვაპირებო.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ ორ განცხადებას შორის ბრაიანტს „ლეიკერსის" ავტორიტეტული მწვრთნელი ფილ ჯექსონი ელაპარაკა. რა ითქვა მათ შორის, არავინ იცის და პრინციპში ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ ბრაიანტმა წასვლის სურვილი გულში ჩაიკლა.

კობის ასევე შეხვდა თვით „ლეიკერსის" მფლობელი ჯერი ბასი, რის შემდეგაც კლუბის პრესატაშე ჯონ ბლეკმა გამოაცხადა, მხარეებს შორის რაც ითქვა, ეს მხოლოდ მათი პირადი საქმეაო.

ბრაიანტს „ლეიკერსთან" კიდევ 4-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ამ ხნის განმავლობაში მან 88 მილიონი დოლარი უნდა აიღოს. საერთოდ, მისი კონტრაქტი 136 მილიონად ფასობდა, როცა კობიმ და „ლეიკერსმა" 2004 წელს ხელი ხელს დაჰკრეს.

# ჯორდანმა შარლოტს კარი დაუშვენა

**„შარლოტ ბობქეტსმა"** ასისტენტ მწვრთნელად დანიშნა ნბა-ს ყოფილი კალათბურთელი დელ კარი. ამ თანამდებობაზე მანამდე მყოფი ჯონ აუთლოუ კი პერსონალის დირექტორად გადაიყვანა.

კარიმ ნბა-ში 16 სეზონი ითამაშა, აქედან 10 წელი მან „შარლოტ ჰორნეტსში" გაატარა და ამ ქალაქში გვარიანადაც აფასებენ. ის, რომ „ბობქეტსის" საწვრთნელო შტაბში მოხვდა, პირადად მაიკლ ჯორდანის დამსახურებაა, რომელიც ამ გუნდის თანამფლობელია და მისი სიტყვა კანონია.

„შარლოტის" ყოფილი თავკაცი ბერნი ბიკერსტაფი კი საკალათბურთო ოპერაციების ხელმძღვანელად დააქვეითეს. მისი ადგილი ახალბედა მწვრთნელმა, სემ ვინსენტმა დაიკავა.

# დელფინომ ტორონტოში გაცურა



**„დეტროიტმა"** თავისი არგენტინელი უკანახაზელი კარლოს დელფინო „ტორონტოში" გაუშვა და ამ კლუბისგან სანაცვლოდ 2009 და 2010 წლების დრაფტის მეორე წრეში არჩევნის უფლება მიიღო. „ჩვენ ვაფასებთ იმას, რაც დელფინომ გუნდში თამაშის პერიოდში გააკეთა და მას „ტორონტოში" წარმატებებს ვუსურვებთ" — თქვა „დეტროიტის" პრეზიდენტმა ჯო დუმარსმა.

დელფინო 2003 წლის დრაფტზე 25-ე ნომრად აიყვანა „დეტროიტმა". მას ამ გუნდში 180 მატჩი ჩაუტარებია და საშუალოდ 4,4 ქულასა და 2,4 მოხსნას იხვეჭდა. დელფინომ გასულ სეზონში „დეტროიტის" ყველა მატჩში ითამაშა — რეგულარულში საშუალოდ 5,2-ს, ხოლო პლეი ოფში — 2,3 ქულას აგროვებდა. მას მომავალ სეზონში 1,8 მილიონი დოლარი უნდა აეღო, რასაც უკვე ტორონტოელებისგან მიიღებს.

# დანკანს 50 მილიონს უმიზნებენ



**ნბა-ში** ახლახან გაჩემპიონებული „სან ანტონიო" მზადაა, გუნდის ლიდერ ტიმ დანკანთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე წამოიწყოს მოლაპარაკება. ტიმმა კონტრაქტით კიდევ ორი სეზონი უნდა ითამაშოს „სან ანტონიოში", მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა წინ იყურება და სუპერვარსკვლავს ხელშეკრულების კიდევ ორი წლით გახანგრძლივებას სთავაზობს. როგორც ვარაუდობენ, ამ ორწლიანი გარიგების ღირებულება 50 მილიონი დოლარი იქნება და თუ ეს განხორციელდა, დანკანი „სფურზში" 2011-2012 წლის სეზონის ბოლომდე დარჩება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფილადელფიამ დაიწყო


კიმო ტიმონენი

**გაძლიერება** დაიწყო გასული სეზონის ყველაზე ცუდმა გუნდმა „ფილადელფიამ" — ლიგის უკანასკნელ, 30-ე ადგილზე გასულმა „მფრინავებმა" გუშინ „ნეშვილიდან" მცველი კიმო ტიმონენი და თავდასხმელი სკოტ ჰარტნელი დაიმატეს.

ნჰლ-ური წესებით, „ფილადელფიას" ტიმონენთან და ჰარტნელთან მოლაპარაკებების დაწყების უფლება არ ჰქონდა, რადგან ისინი თავისუფალი აგენტები მხოლოდ 1 ივლისიდან ხდებოდნენ. თუმც "ნეშვილმა", რომელსაც ახალი პატრონი ჰყავს და დიდ გაურკვევლობაშია, რადგანაც არ იცის, მომავალ სეზონს რომელ ქალაქში იქნება და რამხელა ბიუჯეტი ექნება, „მფრინავებს" თავის მოთამაშეებთან მოლაპარაკებების დროზე ადრე დაწყების უფლება მისცა. სამაგიეროდ მან პენსილვანიური გუნდისგან ამ კვირის ბოლოს გასამართ დრაფტზე პირველ წრეში არჩევანის უფლება მიიღო.

„ფილადელფიამ" ტიმონენთან და ჰარტნელთან 6-6 წლიანი კონტრაქტები გააფორმა, რომლის განმავლობაშიც ფინელი მცველი 37,8 მილიონით შეივსებს ჯიბეს, ხოლო ამერიკელი თავდასხმელი — 25,2 მილიონით. ბევრის აზრით, „მფრინავები" მაგრად შეცდნენ, ამხელა კონტრაქტები რომ გააფორმეს. ისე, ჰარტნელზე ამდენის დახარჯვა მართლაც ზედმეტი იყო, მაგრამ ტიმონენის დამატებით "ფილადელფია" ალბათ საბოლოოდ გადაწყვეტს დაცვაში არსებულ სერიოზულ პრობლემებს — ერიკ დეჟარდენის შემდეგ ხომ გუნდს ამ დონის უკანახაზელი ნამდვილად არ ჰყოლია.

## დათვის გული

**ერთწლიანი** მუშაობის შემდეგ პოსტი დაატოვებინეს "ბოსტონის" მწვრთნელ დეივ ლიუისს. "დათვების" ხელმძღვანელობას ამ კაცისადმი სასაყვედურო თითქოს არაფერი ჰქონდა, მაგრამ...

როგორც აღმოჩნდა, "ბოსტონის" გენერალურ მენეჯერ პეტერ ჩიარელის გასული რეგულარული ჩემპიონატის მიწურულს "ნიუ ჯერსიდან" გაგდებული კლოდ ჟულიენის გუნდში მოყვანა ამოეჭრა გულში და ლიუსიც ამას შეეწირა.

## მონრეალმა ბალასტი მოიშორა

**როგორც იქნა,** „მონრეალმა" თავიდან მოიშორა ბალასტად ქცეული ფორვარდი სერგეი სამსონოვი — "კანადიენსმა" რუსი "ჩიკაგოს" გადაულოცა და საპასუხოდ მცველი ჯეისონ კალიმორი და ფინელი მარცხენა ფლანგელი ტონი სალმელაინენი მიიღო. ამასთანავე, კანადური გუნდი უკვე შეუთანხმდა კალიმორს 1,9 მილიონიანი კონტრაქტის გამოსყიდვასა და გუნდიდან გაშვებაზე.

ბევრი იკითხავს, „მონრეალმა" ამ ტრეიდით რა მოიგოო. საქმე იმაშია, რომ ამ გაცვლით „კანადიენსმა" სამსონოვის 3,9-მილიონიანი კონტრაქტი მოიშორა თავიდან, რაც საგადასახადო ჭერის ეპოქაში ფრიად მნიშვნელოვანი თანხაა — ასე რომ, კანადელებს ახლა გაცილებით მეტი თავისუფალი თანხა აქვთ გუნდში რომელიმე ვარსკვლავური აგენტის მოსაყვანად (სავარაუდოდ, დანიელ ბრიარის).

თავად 27 წლის სამსონოვს კი აუტსაიდერ "ჩიკაგოში" მეტი სათამაშო დრო და შესაბამისად, ძველებურად მაღალ დონეზე ათამაშების უკეთესი საშუალება ექნება.

## ოტავური ცვლილებები


ჯონ მაკლერი

**ცოტა** უცნაური და ბევრისთვის გაუგებარი ცვლილებები განახორციელა "ოტავას" მფლობელმა იუჯინ მელნიკმა — მან თანამდებობიდან გაათავისუფლა გუნდის გენერალური მენეჯერი ჯონ მაკლერი და მის ადგილზე მწვრთნელი ბრაიან მიურეი დანიშნა. გაუგებარია მაკლერის გაშვების მიზეზი. „სენატორების" წლევანდელი წარმატებები, კერძოდ სტენლის თასის ფინალში გასვლა მისი დამსახურება იყო.

მიურეის კი უკვე აქვს ამ პოსტზე მუშაობის გამოცდილება — ორი წლის წინ, "ოტავას" დამრიგებლად დანიშვნამდე, ის წლევანდელ ტრიუმფატორ "ანაჰაიმის" გენერალური მენეჯერი იყო. სხვათა შორის, კალიფორნიული გუნდის ახლანდელი წარმატებების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სწორედ მიურეის კარგ მუშაობას თვლიან და მელნიკის გადაწყვეტილებაზეც ალბათ ამან იმოქმედა.

თავად მიურეი მანამდე შეითავსებს მწვრნელისა და გენერალური მენეჯერის მოვალეობებს, სანამ გუნდს ახალ დამრიგებელს არ დაუნიშნავენ. ეს კი, სავარაუდოდ, უახლოეს ორ-სამ კვირაში მოხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შარი სუარესისგან

## ჩახნაშვილმა დაიწყო და დაამთავრა




**სეზონის** მესამე და უმთავრესი სლემტურნირი ორშაბათს იწყება. ლაპარაკია ძირითად ტურნირზე, თორემ საკვალიფიკაციო ეტაპი უკვე გახურდა და საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის, მაკა ჩახნაშვილისთვის დასრულდა კიდეც.

წლევანდელი სეზონი მაკასთვის საუკეთესო ნამდვილად არ არის, თანაც მისთვის ბალახიც უცხო საფარია და ძნელად, რომ ქართველს უიმბლდონის ძირითად ბადეში შეეღწია. თანაც, ჩახნაშვილს წილისყრამაც არ გაუმართლა და პირველივე წრეში არგენტინელი პაოლა სუარესის სახით უაღრესად გამოცდილი მეტოქე შეახვედრა.

სუარესი, ვისაც 23 ივნისს 31 წელი შეუსრულდება, მეთერთმეტედ ითამაშებს უიმბლდონის მდელოზე. საუკეთესო შედეგი მას 2004 წელს ჰქონდა, როდესაც მეოთხედფინალს უწია და საერთოდაც, ის წელი არგენტინელისთვის განსაკუთრებული იყო — უიმბლდონამდე „როლან გაროსის" ნახევარფინალში გააღწია და ერთი ხანობა WTA-ს რეიტინგის მე-9 საფეხურზე იყო.

სუარესი უფრო წყვილთა თამაშის სპეციალისტად ითვლება და რვა სლემტიტულითაც იწონებს თავს. წყვილებში ერთხელ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, ოთხჯერ — „როლან გაროსი" და სამჯერ — ამერიკის ღია ჩემპიონატი. ამას გარდა უიმბლდონზეც უთამაშია სამი ფინალი, მაგრამ სამივეჯერ დამარცხებულა.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ სუარესის საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა. ამჟამად პაოლა რეიტინგში მაკაზე დაბლა, 164-ე ადგილზეა და მისთვის ტრიუმფალური 2004 წლის შემდეგ არგენტინელმა სლემტურნირების ძირითად ბადეში ერთადერთხელ, შარშანწინდელ „როლან გაროსზე" გააღწია და მაშინაც პირველივე წრეში დამარცხდა. ხოლო შარშან და წლეულს საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევა ვერც ერთ მეიჯორზე ვერ მოახერხა.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ბალახი არც სუარესისთვის არის საყვარელი საფარი, ჩახნაშვილს გარკვეული შანსები ჰქონდა, მაგრამ ეს შანსები ვერ გამოიყენა, 3:6 3:6 დამარცხდა და ლონდონს დაემშვიდობა.

ჩახნაშვილის გარდა წლევანდელ უიმბლდონზე, ქართველებიდან, სავარაუდოდ ანა ტატიშვილი და ოქსანა კალაშნიკოვაც ითამაშებენ გოგონათა ტურნირში. იუნიორები შეჯიბრში ტურნირის მეორე კვირიდან ჩაებმებიან და იქ ჩვენებურებს წარმატებული თამაშის უფრო მეტი შანსი აქვთ.

რაც შეეხება ქართული კაცთა ჩოგბურთის ლიდერ ირაკლი ლაბაძეს, სამწუხაროდ, ის ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ ჯერაც




უქმობს. არადა, შარშანდელ უიმბლდონზე ირაკლიმ კვალიფიკაციიდან დაიწყო, ზედიზედ ექვს მეტოქეს სძლია, ძირითადი შეჯიბრის მეოთხე წრეს უწია და ბლომად სარეიტინგო ქულები მოიპოვა. წლეულს ის ამ ქულების დაცვას ვერ შეძლებს და სავარაუდოდ, რეიტინგში, სადღაც მეორე ათასეულში გადავარდება.



# ჰენმანმა გამარჯვება გაიხსენა

სულ რაღაც ხუთ დღეში წლის მესამე და ყველაზე პრესტიჟული სლემტურნირი დაიწყება — ლონდონში „სრულიად ინგლისის საჩოგბურთო კლუბის" კორტებზე მორიგი უიმბლდონი გაჩაღდება. ამ კვირაში ჩოგბურთელებს ბალახთან გათავისების უკანასკნელი შანსი აქვთ, რის გამოც ერთბაშად ოთხი ტურნირი მიმდინარეობს. თუმც აქვე ვთქვათ, რომ ბობოლათა უმეტესობამ მაინც დასვენება ამჯობინა — ეს განსაკუთრებით კაცებს ეხებათ, მაშინ, როცა უახლოეს დღეებში რამდენიმე ქალ ტოპმეჩოგნეს საქმეში მაინც ვნახავთ. ოღონდ აქვე გეტყვით, რომ მაღალი სარეიტინგო ნომრების გამო ისტბორნში თავმოყრილი არც ერთი ბობოლა არ გასულა კორტზე და ამიტომ იქაურ მაყურებელს ჯერ კიდევ წინ აქვს ჟუსტინ ენინის, ამელი მორესმოსა და ელენა დემენტიევას ხილვის ბედნიერება.

კაცთა ტურნირებიდან ჯერ ნოტინგემური ამბებით დავიწყოთ და ტიმ ჰენმანის ნანატრ გამარჯვებაზე ვთქვათ. უიმბლდონის ოთხგზის ნახევარფინალისტ 32 წლის ბრიტანელს უკვე არაერთხელ ურჩიეს კორტიდან სამუდამოდ წასვლა, მაგრამ ჰენმანი მაინც ჯიუტად აგრძელებს ჩოგნაობას და საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა. ვეტერანმა ბრიტანელმა კარგად ისარგებლა ამერიკელი მაიკ რასელის უხეირო თამაშით და მეორე წრეში გავიდა, სადაც დმიტრი ტურსუნოვს დაეჯახება. რუსმა თავის მხრივ მეორე იანკი, რობერტ კენდრიკი დაჯაბნა.

რიშარ გასკეს გამარჯვებაც გამოვყოთ — ვინსენტ სპადეას დამარცხებით ფრანგს დიდი გმირობა არ ჩაუდენია, მაგრამ თავად გალისთვის ეს მნიშვნელოვანი მოგება იყო, რადგან კორტზე შეუსრულდა 21 წელი და დაბადების დღეზე მცირე საჩუქარი გაიკეთა.

„სპადეასთან თამაში იოლი არასოდეს არ არის, განსაკუთრებით ბალახზე. ისე კი საკუთარ დაბადების დღეზე გამარჯვება ერთიორად სასიამოვნოა" — ყურებამდე იღიმებოდა ნამატჩევს ახალგაზრდა ფრანგი.

ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშში პირველი წრე წარმატებით გაიარეს პირველ-მეორე ნომრებმა — ტომი რობრედომ და ივან ლიუბიჩიჩმა. ესპანელი მასპინძელ მიხელ კნინგს გაუსწორდა საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში. კი ცოტა მეტი წვალება დასჭირდა, თუმც გაელ მონფილზის სახით მეტოქეც უფრო სერიოზული ჰყავდა. ეგ კი არა, ახალგაზრდა ფრანგმა პირველი სეტი მოუგო კიდეც ხორვატს, თუმც ლიუბიჩიჩი შემდეგ ჩაირთო და მომდევნო ორ პარტიაში მხოლოდ სამი გეიმი დათმო.

სამაგიეროდ, არ გაუმართლათ სხვა განთესილებს — პირველივე წრეში დაიფრინეს ტურნირის მეხუთე (ხუან-კარლოს ფერერო), მეექვსე (ხუან-იგნასიო ჩელა), მეშვიდე (ფილიპ კოლშრაიბერი) და მერვე (მარკ ჟიკელი) ნომრები.

**კახა ლომჯაშვილი**

# ჩინური პრობლემები

**უიმბლდონის** წინ საკმაო პრობლემები დაუგროვდათ ჩინელ ჩოგბურთელებს. პირველ რიგში, იყო იმის ალბათობა, რომ წლის მესამე სლემტურნირის გამოტოვება მოუწევდა აზიელთა ნომერ პირველ ჩოგბურთელ ნა ლის. მსოფლიო რეიტინგში მე-18 საფეხურზე მდგომ ჩინელს მხრის კუნთები დაუზიანებია, რის გამოც ამ კვირას ისტბურნში მიმდინარე ტურნირში მონაწილეობაზე თქვა უარი. თუმც გუშინ ცნობილი გახდა, რომ ლი უიმბლდონზე თამაშს შეძლებს.

ლონდონში ჩასვლაზე უარის თქმა მოუწია ჟენგ ჟისაც, რაც ჩინელთათვის დიდ პრობლემად იქცა — ის ხომ ძი იანთან ერთად ბოლო ხანია, წყვილში ძლიერად თამაშობს. შარშან ამ წყვილმა ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი მოიგო. ასე რომ, ჩინელები წლეულს ინგლისის დედაქალაქში ტიტულის დაცვას გეგმავდნენ, მაგრამ ჟენგი არ იქნება, რის გამოც იანს ახლა შუაი პენგი შეუწყვილეს.

# ზვონარიოვა უიმბლდონსაც გამოტოვებს

**მაგრამ** გაწამა ტრავმებმა 22 წლის რუსი ვერა ზვონარიოვა. ზედიზედ მეორე წელია, ამ სლავს სხვადასხვა დაზიანებების გამო სეზონის დიდი ნაწილის გამოტოვება უწევს. ზვონარიოვამ, რომელმაც აპრილის ბოლოს ჩარლსტონის ნახევარფინალში მაჯა იტკინა, უკვე გამოტოვა „როლან გაროსი" და როგორც გუშინ გაირკვა, ვერც უიმბლდონზე შეძლებს თამაშს.

ეს უკვე მეორე რუსია, ვინც ლონდონში სათამაშოდ ჩასვლას ვერ ახერხებს — აქამდე ზვონარიოვას ბედი ანასტასია მისკინამაც გაიზიარა. ვერას ადგილს კი უიმბლდონის ძირითად ბადეში კანადელი ალექსანდრა ვოზნიაკი დაიკავებს.

# გაუდიოს გარეშე

**უიმბლდონზე** ვერც გასტონ გაუდიოს ვიხილავთ — 2004 წლის „როლან გაროსის" ჩემპიონის საქმეები უკან მიდის და არგენტინელი ამ დიდ ფორუმსაც გამოტოვებს. თუმც იქნებ ეს არც იყოს დიდი დანაკლისი ამ სლემტურნირისთვის, რადგან ლონდონში ეს პატაგონიელი თავის საუკეთესო წლებშიც კი ერთხელაც არ გასულა მეორე წრეზე შორს.

ისე, გაუდიო პირველი არგენტინელი არაა, უიმბლდონზე თამაშზე უარს რომ ამბობს — მის გარდა ლონდონში ვერც ხოსე აკასუსო ჩავა. მათ გარდა სლემტურნირს გამოტოვებენ ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპანი, ავსტრიელი იურგენ მელცერი და ბელგიელი ქსავიე მალისიც.

გაუდიოს ადგილს კი კიდევ ერთი არგენტინელი ხუან-პაბლო გუზმანი დაიკავებს.

# ენინს ტკბილეული აუკრძალეს

**„როლან გაროსის"** ოთხგზის ტრიუმფატორ ჟუსტინ ენინს, რომელიც უიმბლდონის მოგებასა და კარიერული "დიდი სლემის" შეგროვებას უმიზნებს, ტკბილის ჭამა აუკრძალეს. ჭინკა ბელგიელს კვების სპეციალისტი აიძულებს, უარი თქვას ყოველგვარ ტკბილეულზე.

ენინს უკვე არაერთხელ ჰქონია მუცელთან დაკავშირებული პრობლემები — თუნდაც შარშან ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი გავიხსენოთ, როცა ბელგიელმა მუცლის ტკივილის გამო ამელი მორესმოსთან მატჩი ვერ ჩაამთავრა. ჰოდა, ზემოთ ნახსენები სპეციალისტი ცდილობს, რომ ენინის ეს პრობლემა თავიდან აცილოს.

„დაწოლის წინ ერთი ფილა ბელგიური შოკოლადის ჭამა მიყვარდა, მაგრამ ახლა ეს აკრძალული მაქვს. თუმც თუ გამარჯვებებისთვის ასეა საჭირო, მაშინ მზად ვარ, ტკბილზე უარი ვთქვა" — გაენდო ენინი ჟურნალისტებს.



**კახა ლომჯაშვილი**

# ისრის წვერზე წამოცმული ყელსაბამი



**მშვილდოსნობას საქართველოში უძველესი წარსული და უდიდესი ტრადიციები აქვს. თანამედროვე ეპოქას თუ ავიღებთ, საამაყოდ ქეთევან ლოსაბერიძის მიერ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ოქროს მედალიც გვეყოფა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მშვილდოსნობამ საქარველოში პოპულაროობა დაკარგა და აღარც მასობრივი სპორტი არის. არადა, ამ სახეობას უამრავი საინტერესო ნიუანსი აქვს, რომლებზეც ოლიმპიური ჩემპიონი ქეთევან ლოსაბერიძე გვესაუბრება**

— სპორტის მრავალ სახეობაში ქალები კაცებს ფეხდაფეხ მისდევენ, ზოგან ეწევიან და ასწრებენ კიდეც. აი, აფროსნობასა და ცხენოსნობაში კი ქალ-ვაჟნი გამარჯვებისთვის სულაც ერთმანეთის პირისპირ გამოდიან სარბიელზე. როგორ ფიქრობთ, ერთ მშვენიერ დღეს მშვილდოსნებსაც იგივე ხომ არ ელით? ამას რომ გეკითხებით, გვახსენდება მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, სადაც ჩემპიონობა ისე მოიპოვეთ, რომ კაცთა ტურნირში გამარჯვებულზე უკეთ ისროდით, განსაკუთრებით ბოლო დღეს, როცა ქალებიცა და კაცებიც 70 მეტრზე ცდიდით ძალას.

— მშვილდოსნობაში ქალთა და კაცთა დაპირისპირებასა თუ მათი ტურნირების გაერთიანებაზე ჯერ კიდევ მაშინ მსჯელობდნენ, როცა თავად სარბიელზე ვიყავი, მაგრამ ამის იქით საქმე აღარ წასულა. ისე კი, საინტერესოა, რომ ქალები და კაცები ერთმანეთის პირისპირ გამარჯვებისთვის მსოფლიოს პირველ და მეორე ჩემპიონატებში გამოდიოდნენ. ის ჩემპიონატები 1931-32 წლებში ლვოვსა და ვარშავაში მოეწყო. მაშინ პოლონელმა სავიცკიმ ყველას აჯობა. ქალთაგან კი საუკეთესო იყო მისი თანაგუნდელი იანისა სპიხაევა-კურკოვსკა. მართალია, იმ წლებში ქალები და კაცები ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, მაგრამ ბოლოს გამარჯვებულნი მაინც ცალ-ცალკე გამოავლინეს.

ერთადერთი სამშვილდოსნო შეჯიბრება, სადაც ქალები, ისე როგორც აფროსნობასა და ცხენოსნობაში გამარჯვებისთვის კაცების პირისპირ იბრძვიან, ამბროზიანოს ტურნირია, რომელიც იტალიაში ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. ამ ტურნირში სამჯერ ვმონაწილეობდი. პირველად ვაჟებს სწორედ მაშინ დავუპირისპირდი.

ამბროზინიოს ტურნირზე გამარჯვებულისთვის გარდამავალი პრიზი — „ვერცხლის ყელსაბამი" იყო დაწესებული. მას, ვინც ტურნირს სამჯერ მოიგებდა, ეს ყელსაბამი სამუდამო მფლობელობაში გადაეცემოდა. შეჯიბრების მონაწილეთა შორის იყო ერთადერთი სპორტსმენი, გვარად სპიგარელი, რომელსაც ეს ყელსაბამი ორჯერ მოეგო და მისი მესამედ დასაკუთრების იმედიც ჰქონდა. სხვათა შორის, ეს იტალიელი კაცი ახლა მშვილდ-ისრის მწარმოებელი ფირმის მეპატრონეა, რომელიც მისსავე გვარს ატარებს — „სპიგარელი". მაშინ სპიგარელი ძალიან გავაწბილე, რადგან არათუ ქალებში, ვაჟთა შორისაც საუკეთესო შედეგი აღმომაჩნდა. სპიგარელი გაოგნებული იყო. ყელსაბამის დაკარგვა ვერაფრით წარმოედგინა, მით უმეტეს ქალთან დამარცხებას არაფრით ელოდა. ასე იყო თუ ისე, მსოფლიოში პირველი ქალი გავხდი, ვინც ამბროზინიოს ტურნირზე ვაჟებს აჯობა. ამ ამბის აღსანიშნავად მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რუსკონიმ მთელი საბჭოთა ნაკრების წევრები შინ ვახშამზე მიგვიწვია და ტურნირის მთავარი ჯილდო, ის ულამაზესი ყელსაბამი შამპანურების ბთქა-ბუთქითა და ტაშის გრიალში გადმომცა... შემდგომში ამბროზინიოს ტურნირი ქალთაგან მხოლოდ ჩემმა თანაგუნდელმა, მეტოქემ და მეგობარმა ბუტუზოვამ მოიგო, მე კი ამ შეჯიბრებაზე კიდევ ორჯერ გამოვედი 1979 და 1980 წლებში. ორივეჯერ ქალებში ყველას ვაჯობე, საერთო ჩათვლაში კი მეორე ვიყავი. ბოლო შეჯიბრებაზე 1313 ქულა მოვაგროვე, ასეთი შედეგი დღესაც კი დიდ მიღწევად ითვლება.

— წინათ მშვილდოსნები ცოცხალ სამიზნეებზე სროლაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს...

— დიახ ასე იყო, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებზეც. ეს სახეობა 1900 წელს პარიზის მეორე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში რომ შეიტანეს, მშვილდოსნებს, ისე როგორც ტყვიის მსროლელებს, ცოცხალი სამიზნეებიც ჰყავდათ. სპორტსმენები გარეულ ფრინველებზე „ნადირობდნენ". მაშინ გარეული ფრინველი ყველაზე უკეთ ავსტრიელმა მაკინტოშმა მოინადირა და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. სამწუხაროდ, 1920 წლიდან ოლიმპიური მშვილდოსნობა დაივიწყეს და 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის გაიხსენეს.

— **საინტერესოა, მშვილდოსნები როგორი ტყვიის მსროლელები არიან?**

— სხვისი რა მოგახსენოთ, საკუთარზე კი გავიხსენებ: მშვილდოსნობაში ვარჯიში რომ დავიწყე, იმ სარდაფის ტირში რაკი თოფიც იყო, ზოგჯერ ისე, სახალისოდ ვისროდი და ამ საქმეში მგონი მშვილდოსნობაზე ნაკლები პერსპექტივა არ მქონდა. სოფელშიც ხშირად ვისროდი თოფს და გოგრებს შიგ ათიანში ვარტყამდი. რომ გავთხოვდი, ამითაც თავი მომქონდა. ჰოდა, ერთხელაც, მეუღლის სოფელში რომ ჩავედი, მამამთილმა ჩემი გამოცდა გადაწყვიტა. შემომჩივლა, სინდიოფალა შემომეჩვია და სისხლი გამიშრო. მეც ავიღე თოფი და სინდიოფალას ჩავუსაფრდი. იმანაც დიდხანს არ მალოდინა და ხის ტოტებში დავლანდე დავლანდე და მეც დავაბათქუნე. დავინახე, რომ ჩამოვარდა. მამამთილს ნიშნისმოგებით გადავხედე და „ნანადირევის" ასაღებად მივირბინე, მაგრამ იქ ჩამოვარდნილი გადასხეპილი ტოტის მეტი ვერაფერი ვნახე. ნიშნისმოგებით ახლა მამამთილმა გადმომხედა. მადლობა ღმერთს, რომ ავაცდინე. ცხოვრებაში ჭიანჭველისთვისაც კი არ დამიდგამს ფეხი და რაღა ის სინდიოფალა უნდა მომეკლა.

— **რაკი ქალ-ვაჟნი ცხენოსნობაში მრავალი წელია, რაც ერთმანეთს გაუთანაბრეს, მშვილდოსნობაში კი მართალია, იშვიათად, მაგრამ ქალებს კაცებისთვის პირველობა ჩამოგირთმევიათ, რას იტყოდით ამ ორი სახეობის ნაზავზე, რასაც ყაბახი წარმოადგენს?**

— როცა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, იქვე იყო ერთი სტუდენტი გოგონა, მერი, რომლის გვარს ვეღარ ვიხსენებ. ისიც მშვილდოსნობაში ვარჯიშობდა. პირველი კურსის დამთავრების მერე არდადეგებზე სოფელში რომ წავიდა, იქ ვაჟებთან ერთად ყაბახში გამოსცადა თავი და ყველას აჯობა. სიტყვამ მოიტანა და საქართველოში ყაბახი მგონი მშვილდოსნობაზე უფრო პოპულარული იყო. სოფლებში გამართული სპორტული ზეიმები უყაბახოდ არ ჩაივლიდა. პოპულარობით ყაბახი მხოლოდ ქართულ ჭიდაობას თუ ჩამორჩებოდა. არადა, საკმაოდ რთული სახეობაა, გაჭენებული ცხენიდან ჭოკის კენწეროზე შემომდგარი ვერცხლის თასის მშვილდ-ისრით ჩამოგდება ქალებს კი არა, ბევრ კაცსაც არ შეუძლია.

— **ყაბახში მერისავით თქვენც ხომ არ გამოგიცდიათ თავი?**

— სამწუხაროდ, მე ცხენზე ჯდომა არ ვიცი. ბავშვობაში სოფელში რომ ვიზრდებოდი, ცხენი კი გვყავდა და ვმჯდარვარ კიდეც, მაგრამ დამოუკიდებლად არ მიჭენებია. მარტო ახლოსაც კი ვერ ვეკარებოდი ცხენს და დღესაც მეშინია. ამიტომ ყაბახში თავი არც არასოდეს გამომიცდია, ჭოკზე წამოცმულ გოგრებზე კი, სტუდენტობისას რომ ვერთობოდი, ისარი არ ამიცდენია.

— **უცნაურია, მაგრამ მშვილდოსან ქალთა შეჯიბრებებში სპორტისთვის ასაკოვან ქალებსაც ვხედავთ, მათ შორის ჩემპიონებსაც. მაგალითად. მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში თქვენ, როცა სრულიად ახალგაზრდა, 22 წლისა იყავით, სულ ბოლოს ლიდერობა და ჩემპიონობა 52 წლის ამერიკელ დოMინ უილბურს დაუთმეთ. სიდნეის ოლიმპიური ტურნირი ავსტრალიელმა ბებიამ, 60 წელს მიტანებულმა ქალბატონმა დაამშვენა. საინტერესოა, მშვილდოსნობაში მაინც რომელი ასაკია ოპტიმალური?**

— მშვილდოსანთა შეჯიბრებების მონაწილეთა ასაკში ხშირად საკმაო სხვაობაა. ტურნირში შეიძლება სრულიად ახალგაზრდამ გაიმარჯვოს, მაგრამ შემდგომ მსგავსი წარმატებები ველარ გაიმეოროს. მშვილდოსნობაში არის პატარ-პატარა ნიუანსები და ეშმაკობები, ამაში გარკვევას კი წლები და გამოცდილება სჭირდება, რაც სპორტსმენის სტაბილურობას განაპირობებს. და მაინც, 50 წელს გადაცილებული მშვილდოსნები გამონაკლისები არიან. მათ გამოცდილება კი აქვთ, მაგრამ მკლავის ძალა და მხედველობა ღალატობთ. ამიტომ, ჩემი აზრით, მშვილდოსნობაში საუკეთესო შედეგების მისაღწევად ოპტიმალური ასაკი ალბათ მაინც 22-დან 30 წლამდეა...

**ავთანდილ ტყვიშელი**

# ბავშვთა სახლები მხიარულ სტარტებში

**21-22 ივნისს** სპორტის დეპარტამენტის თაოსნობითა და დაფინანსებით ლევან თედიაშვილის სახელობის სპორტკომპლექსში თბილისში არსებული ბავშვთა სახლების აღსაზრდელები ერთმანეთს მხიარულ სტარტებში შეეჯიბრებიან.

მხიარული სტარტების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებას ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია უზრუნველყოფს.

შეჯიბრისწინა პრესკონფერენციაზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნაჭყებიამ ისაუბრა:

— ბავშვთა სახლებში მცხოვრები მოზარდები, სამწუხაროდ, მოკლებულნი არიან მსგავს ღონისძიებებს. სპორტის დეპარტამენტმა ამიტომაც გადაწყვიტა მათი გახალისება. ამ ეტაპზე მხოლოდ თბილისში არსებული ბავშვთა სახლები გაეჯიბრებიან ერთმანეთს, შემდეგ კი რეგიონებიდანაც შემოგვიერთდებიან.

— ბავშვთა სახლების გუნდები საქართველოს ჩემპიონატის სრულუფლებიანი წევრები გახდებიან, საკუთარ თავზე გამოცდიან სპორტულ აზარტს და ფიზიკურ დატვირთვას.

— მხიარული სტარტებისთვის უკეთ მოსამზადებლად ბავშვებს ყველანაირად ხელს შევუწყობთ, რომელ დარბაზშიც უნდათ, იქ ივარჯიშებენ. ჩემპიონატში 160 მიიღებს მონაწილეობას საკვებით და მაისურებით უზრუნველვყოფთ. მოვამზადეთ რამდენიმე სიურპრიზიც.

მხიარულ სტარტებწი მონაწილეობას მიიღებენ:

1. №1 საბავშვო სახლი
2. კოჯრის საალმზრდელო დაწესებულება
3. წყნეთის ბავშვთა სახლი
4. მომავლის სახლი
5. მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „სათნოება"
6. თბილისის მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „სათნოება"
7. ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი
8. თბილისის №199 სკოლა პანსიონი

**ზურაბ მიგრიაული**



# თავში ისევ დი ლუკაა



კრისტოფ მორო და კედელ ევანსი „დოფინე ლიბერეს" გზაზე

**რიგით** 57-ე „კრიტერიუმ დოფინი ლიბერეს" დასრულების შემდეგ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) და „პრო-ტურის" სერიამ ახალი რეიტინგები გამოაქვეყნეს, რომელსაც თავში, კვლავაც „ჯირო დიტალიას" მომგები იტალიელი დანილო დი ლუკა უდგას.

„დოფინი ლიბერეზე" ნაჩვენები კარგი შედეგების წყალობით, ერთბაშად ოთხმა ველოსიპედისტმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა და ტოპ-ოცეულში შეაღწია. კრიტერიუმის მომგებმა ფრანგმა კრისტოფ მორომ, სულაც 43-ე პოზიციიდან მეოთხეზე გადაინაცვლა; ავსტრალიელი კედელ ევანსი 29-ე იყო და ახლა მეექვსეა; ყაზახმა ანდრეი კაშეჩკინმა მე-40 საფეხურიდან მეთორმეტეს უწია, ხოლო რუსმა დენის მენშოვმა 38-დან მეთოთხმეტეზე აინაცვლა.

მოწინავე ოცეულში ყველაზე მეტი, ექვსი წარმომადგენელი კვლავაც იტალიელებს ჰყავთ. მერე ესპანელები, ავსტრალიელები და ლუქსემბურგელები მოდიან, შესაბამისად ოთხი, სამი და ორი მრბოლით, ხოლო საფრანგეთი, გერმანია, ყაზახეთი, რუსეთი და ბელგია თითო წევრით არიან წარმოდგენილნი.

რაც შეეხება გუნდებს, საუკეთესო ოცეულში სამ-სამი მრბოლი ჰყავთ ესპანურ „სონი დიუვალს" და დანიურ CSC-ს, ხოლო ყაზახური „ასტანა", გერმანული „გეროლშტაინერი", ბელგიური „ლოტო" და ჰოლანდიური „რაბობანკი" ორ-ორი ველოსიპედისტით იწონებენ თავს.

## პრო-ტურის რეიტინგი

### მრბოლები

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | 207 |
| 2. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი") | 157 |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარგანი") | 108 |
| 4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | 87 |
| 5. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | 87 |
| 6. კედელ ევანი (ავსტრალია, „ლოტო") | 86 |
| 7. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | 82 |
| 8. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 81 |
| 9. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) | 79 |
| 10. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | 78 |
| 11. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | 75 |
| 12. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა") | 74 |
| 13. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | 71 |
| 14. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | 69 |
| 15. პაოლო სავოლდელი (იტალია, „ასტანა") | 66 |
| 16. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 63 |
| 17. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | 62 |
| 18. რობი მაკიევენი (ავსტრალია, „ლოტო") | 61 |
| 19. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი") | 61 |
| 20. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | 59 |

**გუნდები:** 1. CSC (დანია) 211; 2. „ლიქუიგასი" (იტალია) 191; 3. სონი დიუვალი (ესპანეთი) 181; 4. „ასტანა" (ყაზახეთი) 180; 5. AG2R (საფრანგეთი) 180; 6. დისქავერი (აშშ) 171; 7. კაისე დეპარგნი (ესპანეთი) 167; 8. „რაბობანკი" (ჰოლანდია) 158; 9. „T-მობაილი" (გერმანია) 145; 10. „ლოტო" (ბელგია) 144.

**ქვეყნები:** 1. იტალია 588; 2. ესპანეთი 378; 3. ავსტრალია 311; 4. გერმანია 241; 5. ლუქსემბურგი 187; 6. რუსეთი 151; 7. ბელგია 149; 8. ჰოლანდია 139; 9. ყაზახეთი 137; 10. საფრანგეთი 129

# გერმანელების ამერიკელმა უკრაინელი დაითხოვა

**მსოფლიოს** ექს-ჩემპიონი ინდივიდუალურ რბოლაში, შარშანდელ „ტურ დე ფრანსზე" ორივე ინდივიდუალური ეტაპის მომგები სერგეი გონჩარი გერმანულმა ველოგუნდმა „T-მობაილმა" თავისი რიგებიდან გარიცხა.

გონჩარი 11 მაისიდან ისედაც ჩამოშორებული იყო რბოლებს საეჭვო სისხლის ანალიზის გამო. მან ვერც „ჯირო დიტალიაზე" იასპარეზა და ცნობილი იყო, რომ „ტურ დე ფრანსსაც" გამოტოვებდა. ახლა კი უკრაინელი გუნდიდანაც გარიცხეს.

„T-მობაილის" მენეჯერმა, ამერიკელმა ბობ სტეპლტონმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „გონჩარმა გუნდის წევრების ქცევის კოდექსი დაარღვია. თუმცა, ჩვენ პატივს ვცემთ კონფიდენციალობაზე სპორტსმენის უფლებას და ჯერჯერობით არ გამოვაქვეყნებთ გუნდის მიერ ჩატარებული შიდა გამოძიების შედეგს".

მას შემდეგ, რაც „T-მობაილის" წინამორბედ „ტელეკომის" რამდენიმე სახელოვანმა წევრმა აღიარა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დოპინგს იღებდა, გერმანულ ველოგუნდში განსაკუთრებულად უფრთხიან დოპინგის გამოყენების ყოველ ფაქტს. გუნდის მფლობელებმა მთლიანად შეცვალეს ადმინისტრაციული შემადგენლობა, აქცენტი ახალგაზრდა მრბოლებზე გააკეთეს და ისეთ ძალასაც კი შეელივნენ, როგორიც ანდრეას კლოდენია.

ყოველივე ამის შემდეგ „T-მობაილში" ნამდვილად აღარ სურთ ახალი დოპინგ-სკანდალი და ამიტომაც, როგორც კი რაღაც საეჭვო იყნოსეს, სერგეი გონჩარს ეგრევე კარისკენ მიუთითეს.



ფოტო შარშანდელი „ტურ დე ფრანსიდან": სერგეი გონჩარს (მარჯვნივ) გვერდს ფლოიდ ლენდისი უმშვენებს




ალესანდრო პრონი

# შვეიცარია ავსტრიაში

**ბელგიური** „ქვიკ სტეპის" 24 წლის იტალიელი მრბოლის ალესანდრო პრონის გამარჯვებით დასრულდა 71-ე „შვეიცარიის ტურის" მეორე, 229-კილომეტრიანი ეტაპი.

ამ ტურს შვეიცარიისა კი ჰქვია, მაგრამ მეორე ეტაპი ავსტრიაში, ქალაქებს ბრუნენსა და ნაუდერსს შორის ჩატარდა.

პრონიმ უახლოეს მდევრებს, ესპანელ ხავიერ ფლორენსიოსა და ლუქსემბურგელ კიმ კირხენს 7-7 წამი მოუგო და ამ გამარჯვების წყალობით საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ლიდერი კვლავაც პროლოგის მომგები შვეიცარიელი ფაბიენ კანცელარაა, ვინც პრონის ოდენ 2 წამით უსწრებს. მესამეზე კირხენია ლიდერთან 14-წამიანი ჩამორჩენით.

# ტური მონაკოში

**2009 წლამდე** ჯერ შორია და არც „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორებს გამოუქვეყნებიათ ორი წლის შემდგომი რბოლის განრიგი, მაგრამ ფრანგული „ლე პარიზიენი" ირწმუნება, რომ 2009 წლის „ტურის" პროლოგი მონაკოს სამთავროში, მონტე კარლოში ჩატარდება.

გაზეთი იმასაც იტყობინება, რომ ეს პროლოგი თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, საკმაოდ გრძელი — 15,2 კილომეტრიანი იქნება.

„ტურის" ორგანიზატორებს, თურმე პროლოგის უამრავი ვარიანტი ჰქონიათ, მაგრამ ბოლოს, მაინც მონაკო ამჯობინეს ჰოლანდიურ როტერდამსა და უტრეხტს, ბელგიურ ლიეჟს, შვეიცარიულ ლუგანოს, უნგრულ ბუდაპეშტს, იტალიურ ფლორენციასა და ბასკეთის ერთ-ერთ ქალაქს.

აქვე გეტყვით, რომ წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" პროლოგი 7 ივლისს ლა მანშის გაღმა, ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ჩატარდება.



# ოლიმპიური ჩირაღდანს ევერესტისკენ გზას უკაფავენ

**ჯერ კიდევ** შარშან ვიუწყებოდით, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანს, პირველად ამგვარ ასპარეზობათა ისტორიაში, მწვერვალზე აიტანენ, თანაც რომელიმე უბრალო და ჯუჯა მწვერვალზე კი არა, დედამიწის უმაღლეს პიკ ევერესტზე (8848მ), რომელიც ჩინეთს, უფრო ზუსტად, ტიბეტსა და ნეპალს ერთმანეთისგან ჰყოფს. ახლა ირკვევა, რომ „დედამიწის სახურავის" მისადგომებამდე ჩირაღდნის სამოგზაუროდ მთაში გამავალი მოუკირწყლავი, ოღროჩოღრო გზის მოსწორებას და მოასფალტებას აპირებენ. არცთუ უხიფათო, 108-კილომეტრიან სამანქანო გზას, რომლის მშენებლობაც 20 მილიონი დოლარი დაჯდება, აქეთ-იქით რამდენიმე ფენიანი, ტალღურად მოწყობილი რკინის ღობე გაუყვება. ეს გზა ევერესტის მისადგომებიდან 5200 მეტრის სიმაღლეზე, საბაზო ბანაკამდე მიაღწევს. მისი მშენებლობა ორიოდე კვირაში დაიწყება და ოთხი თვის შემდეგ დამთავრდება.

პეკინის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები ამბობენ, რომ ჩირაღდანი ამ ასპარეზობათა მთელ ისტორიაში ყველაზე გრძელ გზას გაივლის. ჩირაღდანი 130 დღის განმავლობაში ხუთ კონტინენტზე 137 ათას კილომეტრს გაივლის, მისი მოგზაურობის ერთ-ერთი უმთავრესი და ყველაზე ამაღელვებელი მომენტი კი დედამიწის კენწეროზე ასვლა იქნება.

# პრეზიდენტების ოლიმპიური ვნებანი

**ავსტრიის**, რუსეთისა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტებს, რომელთა ქალაქები 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატები არიან, გადაუწყვეტიათ, „თეთრი ოლიმპიადის" მისალებად გვატემალაში ჩავიდნენ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიას დაესწრონ. ეს სესია 4 ივლისს სწორედ გვატემალაში გაიმართება და იქვე გამოვლინდება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქიც.

შეგახსენებთ, რომ არჩევანი ზალცბურგს, სოჭსა და პიონჩანს შორის უნდა გაკეთდეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

### შვედეთი

ალსვენსკა. X ტური

ჰამარბი 2:0 იურგორდენი

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი
VII ტური

აკრანესი 2:1 ვალიური

ფრამი 3:1 ფილკირი

### ამხანაგური მატჩები

განა 0:3 ყატარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლონეთი მოვლენების განვითარებას ჩამორჩა



ივან ტიხონი

**პოლონეთი** კი გახლავთ ჩვენთვის ასე სანუკვარი ევროკავშირის წევრი, მაგრამ ეკონომიკურად ჯერ ისე ვერ მოძლიერებულა, რომ მძლეოსნობაში ოქროს ლიგის ეტაპს ან ნამდვილ გრანპრის უმასპინძლოს. ამიტომაც მომცრო ტურნირებით უწევს დაკმაყოფილება, სადაც ძირითადად პოსტსოციალისტური ბლოკის წარმომადგენლები იყრიან თავს და სადაც წამყვან შეჯიბრებად, ვთქვათ, არა „სამეფო" 100 მეტრზე სირბილი ითვლება, არამედ რაიმე საგნის შორს სროლა.

ვარშავაში გამართულ იანუშ კუსოჩინსკის მემორიალზეც ასე იყო — ყველაზე საინტერესო გამოვიდა კაცთა შორის უროს ტყორცნა. ამ დისციპლინის ბელარუს ვარსკვლავ ივან ტიხონს თავიდანვე გამოუჩნდა კონკურენტი. უნგრელმა კრიშტიან პარსმა ურო პირველივე ცდაზე გვარიან მანძილზე გატყორცნა და ტიხონს აგრძნობინა, იოლად ვერ მოიგებო. უნგრელის 79,32 მეტრს ბელარუსმა მსოფლიოს ჩემპიონმა 80,78-ით უპასუხა. ორთა დავაში მესამეც ჩაერია: სლოვაკმა ლიბორ ჩარფრაიტაგმა 80,35 შედეგი გააზერხა და იქვე პარსმაც გადააცილა ურო 80 მეტრს — 80,19. მაგრამ ტიხონმა მალევე დაამტკიცა თავისი უპირატესობა, მძლავრი ხელებიდან 82,58 მეტრზე გატყორცნილ უროს ველარც პარსმა და ველარც ჩარფრაიტაგმა ვერაფრით უპასუხეს. ამსიშორეზე წლეულს კაციშვილს არ უსვრია ურო და რა გასაკვირია, რომ ვერც ესენი შეეტოქნენ ივანს.

მეუროვეებში მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა პოლონეთის ჩამქრალმა ვარსკვლავმა, არცთუ შორეულ წარსულში მსოფლიოს პირველობების და ოლიმპიადის დამპყრობმა შიმონ ჟოლკოვსკიმ. მას ტრავმამ ხუთი ცდიდან ოთხი გააფუჭებინა.

მასპინძლებს იმედი ჰქონდათ, რომ ქალ მეუროვეებში მაინც მოიგებდა შინაური. რუსი მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონის და მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ტატიანა ლისენკოს და ასევე მისი მთავარი კონკურენტის და ერთხელ რეკორდის ამრთმევი, ასევე რუსი გულფია ხანაფეევას არყოფნაში ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი კამილა სკოლიმოვსკა მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ პოლონელმა დევქალმა 73,09 შედეგით მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა, 76,36 მეტრზე ნატყორცნი უროს წყალობით კი გამარჯვება კუბელ მსოფლიოს ექსჩემპიონ იიფსი მორენოს შეხვდა.

ასევე საინტერესო გამოვიდა კაცთა სამხტომი, სადაც მართალია არ იყო არც შვედი კრისტიან ოლსონი და არც ბრიტანელი ფილიპს იდოუ, მაგრამ ერთბაშად სამმა კაცმა მოახერხა 17-მეტრიანი სამმაგი ნახტომის გაკეთება. თავიდან სლოვაკი დმიტრი ვალუკევიჩი დაწინაურდა 17,25-მეტრიანი სკუპით. მას რუსმა დანილა ბურკენიამ 23 სანტიმეტრით აჯობა, ბოლოს კი კუბელმა ოსნიელ ტოსკამ 17,39 მეტრზე ისკუპა და გამარჯვება რუსს შერჩა.

რუსებმა იმარჯვეს კაცთა შორის სიმაღლეზე ხტომაშიც. აქ ბოლო ცდებამდე ერთმანეთს ორი პოლონელი და ორიც რუსი ებრძოდა, მაგრამ მასპინძლები 2,28 მეტრზე დარჩნენ, რუსებმა — ანდრეი ტერეშინმა და იაროსლავ რიბაკოვმა კი 2,34-მდე ასვლა შეძლეს და 2,36-საც შეუტიეს, მაგრამ ამაოდ და გამარჯვება გაიყვეს.

პოლონელებს არც კაცთა შორის სიგრძეზე ხტომაში გაუმართლათ. ახალგაზრდა მარჩინ სტარჟაკისა დიდად კი ეიმედებოდათ, მაგრამ მან 8,07-მეტრიანი ნახტომით მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. არადა, მისი 8,20-იანი ნახტომი რომ არ გაეუქმებინათ არეკრის ხაზზე ფეხის დაბიჯებისთვის, მეორეც შეხვდებოდა. ასე კი მას ბებერ იამაიკელ ჯეიმს ბეკფორდის (8,37) გარდა ნამიბიელმა გაბრე გარენამოსტემაც (8,16) აჯობა.

მაგრამ ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს ვარშავაში მხოლოდ დახტოდნენ და მძიმე საგნებს ისროდნენ. იქ ირბინეს კიდეც, ოღონდ ბილიკებზე თანამედროვე დიდვარსკვლავთა ნაკლებობა შეინიშნებოდა. ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონ ანა გევარას, ჩანს, ხმაურიანი ტურნირებიდან მოსაწვევები შეუმცირდა და ისიც სხვაგან სირბილით ავსებს დროის ფანჯარას. მექსიკელმა 400-მეტროსანმა ვარშავაში 51,08 წამში იმარჯვა. კაცთა შორის კი 400 მეტრში საკმაოდ დაბალი შედეგით, მხოლოდ 45,63 წამში, მაგრამ მაინც მოიგო 21 წლის პოლონელმა კასპერ კოზლოვსკიმ და თანამემამულეებს გაცრუებული გული ოდნავ მაინც დაუამა.

არც სპრინტერულ დისციპლინებში აღინიშნულია სულისშემხუთავი შედეგები. კაცთა შორის 100 და 200 მეტრიც, შესაბამისად 10,37 და 20,51 წამიანი შედეგებით მოიგო სამხრეთაფრიკელმა კრისტიან კრონემ. ქალებში 100 მეტრს 11,23 წამი დაახარჯა გამარჯვებულმა ბრიტანელმა ტაჰერია ჰერიგანმა.

**კოტე ყორშია**



# მორის გრინისგან ტრავმებიღა დარჩა

**მორის გრინს** ლამაზი კარიერის დაისი ტრავმებმა ჩაუმუქა — 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ყოფილმა რეკორდსმენმა, ასევე ყოფილმა მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა კვლავ რაღაც იტკინა და ამ კვირაში ინდიანაპოლისში გასამართ ამერიკის შიდა ჩემპიონატზე გამოსვლის და, შესაბამისად, ქვეყნის ნაკრებში ადგილის ხელახლა მოპოვების იმედიც დაკარგა.

„მორისმა ძლივს მოირჩინა ერთი ფეხი და ნელ-ნელა დატვირთვას უმატებდა, მაგრამ ახლა მეორე დაიშავა" — დაღვრემილი ამბობს მისი აგენტი ემანუელ ჰადსონი.

გრინი უკვე 32 წლისაა და იმ ტახტისთვის ხელის წავლების შანსიც აღარ აქვს, რომელზეც რამდენიმე წელი მეფესავით იჯდა, მაგრამ მას გუნდში მოხვედრის და ამდენად აქტიურ სპორტში დარჩენის იმედი მაინც ჰქონდა...

# ჩინელები უცხო მიწებს ითვისებენ

**მთელი** ეს მილიარდნახევრიანი ჩინეთი ისეთი გამალებით და ერთსულოვნებით ემზადება 2008 წლის პეკინის ოლიმპიადისთვის, რომ წარმოუდგენელიცაა, იქ მედლების გვარიანი ნაწილი არ მოხვდეს. სინქრონულ სახეობებში, მაგალითად, წყალში ხტომებში, ტანვარჯიშებსა და მისთანებში ჩინელებს ბადალი არ ჰყავთ და ახლა ისინი ისეთ სახეობებსაც ვაითარებენ, რომლებიც ისტორიულად მათთვის ნაკლებად წარმატებული იყო.

მძლეოსნობაში ჩინელები დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნიან. თუ არ ჩავთვლით ეულ მარგალიტს, 110 მეტრზე თარჯმორბენალ ლიუ სიანს, მათ არცთუ ბევრი ხეირიანი მძლეოსანი ჰყავდთ, მაგრამ ახლა ისინი მონდომებულები არიან, ეს „უცხო მიწებიც აითვისონ".

ერთი ნიჭიერი ბიჭი მიემატა ჩინეთის მძლეოსანთა ჩია ნაკრებს. 20 წლის სამხტომელმა ჟუ მინგეიმ გიგანტური ნახტომი გააკეთა ამ სახეობის ელიტაში დასამკვიდრებლად, როცა თავისი თანამემამულე ჟუ ჟენქსიანის სახელობის ტურნირზე სამი ნახტომის ჯამში 17,27 მეტრზე გადახტა.

ჟუნ მინგეის მხოლოდ 7 სანტიმეტრი დააკლდა ჟუ ჟენქსიანის 1981 წელს დამყარებულ ეროვნულ რეკორდამდე და რაკი მხოლოდ ორი ათეული წლისაა და როგორც სპორტსმენი, თვალსა და ხელს შუა იზრდება, ყველა ელის, რომ ჟუნ მინვეი სულ მალე ჩამოართმევს რეკორდს ხანში შესულ თანამემამულეს. 17 მეტრი უკვე დონე და კლასია. თუ ჩინელი სამხტომელი ზრდას არ შეწყვეტს და 17,50-იანებში ადგილის დამკვიდრებას მოახერხებს, დიდი შანსია, რომ პეკინის ოლიმპადისთვის მან მედლის და, ვინ იცის, ოქროს მედლისთვისაც კი შეძლოს ბრძოლა.

**კოტე ყორშია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელაია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ჟღენტი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge